

130/2  
1913  
12



# ბეჭედის გამარჯვება



1913

ი ვ ლ ი ს ი, № 7. გო ზ რ დ ი ლ ი ს თ ვ ი ს.

# ნაგარი მარტი


საემაზო კომპანია  
ქურნავალი

აღ 0 4 1 9 0 0 0 6 6 0 . 0 3 3 0 6 0 , 1 9 1 3 წ.



მ ა ღ 0 6 6 0 .

I— კუავილებში სერიათი . . . . .	1
II— სურათი,— ღვერდი ა. სიხარულიძისა . . . . .	3
III— ფარნაოზ მეფე,— ისტორიული მოთხოვთა, (დასასრული) ივ. როსტომაშვილისა . . . . .	5
IV— შეხვედრა,— დ. თურდისპარევისა . . . . .	16
V — უძველეს ცრონის ბავშვის თავგადასავალი, — მოთხოვთა ე. დ'ერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მართმ ია-შვალისა . . . . .	25
VI— სტეფანეს შვილი,— (დასასრული) თარგმ. შ. კლიმა-შვილისა . . . . .	42
VII— წიგნის ფურცელი,— რუსელით ნ—ისა . . . . .	50
<b>8 VIII— შედარებითი ანატომიიდან აღებული ფაქტები,— (შემდეგი) გ. ანთევდიძისა . . . . .</b>	58
XI— გასართობი: შარალა და რებუსის აღსნა. . . . .	64





## სურათი.



ორიერაფშა წითელი ფრთა ჰქონა ცის ლა-  
ქვარდს—აჩქროლა;  
დოლა ლაშის სარეცელზე გამოცურდა,  
გააძროლა.  
შეიშუშნა... და როდესაც ლურჯი თვა-  
ლი გაახილა,  
ნახა—კრთოდა სიცივისგან ია, გარდი და  
ბილილა.

• მსწრაფლ მოხმო ცელქი სიო, სიო ცქვიტი; ფრთებ-  
გაშლილი;  
უთხრა: „შესძირ მთა და ბარი, გააღვიძე... ქმარი ძილი!“  
შიპჭრის სიო... იქ მაღალ მთას ნისლის ჭულა მოხია;  
კორდზე ნორჩი ყვავილები წამოშალა, შეარჩია.

შემდეგ ტბაზე ფრთხების რჩევით ვააცურა მჩატე ნავი;  
შეძერა ტყეში... ლურჯ-კბინის აუშალა თმა-ნაწნავი;  
თან ცულქ წყაროს ფრთხები გაჰქრა, შეათროთოლა ლალად  
მჩქეფი;  
შინის სხივებზე აყვავილდა გატყორცნილი ციკი შეცერ.

შესძრა უცებ არე-მარე, გააღვიძა მთა და ბარი,  
და ამგვარად შეუსრულა სიომ დილას დანაპარი.  
სოესე-კაფე! სოესე-კაფე!.. \*)  
ვაღმოსძახის ბაზს გუგული;  
სხვა ფრინველნიც ბანს იძლევენ,  
ისმის ტკბილი ქრიამული.  
ვაღმოიძა მსწრაფლ სოფელმა, შრომისათვის ემზადება;  
თოხით მხარზე ყანისაკენ მუშაო კრება ემგზაერება.  
აპა, იწყეს კიდეც თოხნა, იძლერიან მკეირცხლად ყანურს;  
ავერ მწყემსი წამოშვდარა, არაკრაკებს, თვის სალამურს.  
ვხედავ კაცი, ფრინველები, ცველა შრომის ეტანება,  
იძლერიან: შრომა გვალტენს, წრამიშია ნეტარება.

ი. სიხარულიძე



\*) გურიაში მეშა გლეჭები გუგრლს „კოესე-კაფეს“ ეძახიან, რაც  
განაც მისი „კუკუს“ ძახილი ძლიერ წააგავს ამ სიტყვებს.



# ფარნაოზ მეფე.

(ისტორიული მოთხრობა).

(დასასრული).

## XI



არნაოზი იდუმალად ჩიმოეიდა დე-  
ით, დეპით და დარჩომილი თაფ-  
კაცებით მცხეთს და დაღვა ქა-  
ლაქის განაპიროს ერთი ლარიბი  
ურის სახლში. სახლის პატრიონი  
ურია დღე-უკველ უცლიდა სოფ-  
ლებს ფართალით სავაჭროდ და  
საღამოზე რომ ბრუნდებოდა სა-  
ხლში, უმეტ-ნაყლებოდ უამბობდა უცნობ მდგმურებს ყვე-  
ლაფერს, რაც-ეს გაეგონა და ენახა სოფლად. ეს ნაამბობი-  
კი მომეტებულად მარტო ერთ საგანს შეეხებოდა, სახელ-  
დობრ—ხალხის საშინელ დრტეინვასმ და გმირი მიტრიდატის  
შეილის, ფარნაოზის, გამოსწენის ნატცერისა. იგი ახლა, ხალ-  
ხის გამოანგარიშებით, უკვე ოცი წლისა უნდა იყოს.

ფარნაოზი და მისი დები და დედა ლრმად ინერგავდნენ  
გულში ურის ყოველ ნალაპარაკევსა და ცდილობდნენ არა-  
ფრით გაემჭელავნათ ის იმბავი, რომ სწორედ თეით ეს მისი  
მსენელი ახალგაზდა იყო ხალხის სანატრელი ფარნაოზი!



ଗାଁଗିଦା ହାନି. ଫାରନାମିଥିମା ମନ୍ତ୍ରସ୍ତର୍ଵା ତ୍ୟଗିତ ଫାରନାମିଥିନ୍ଦ୍ରଜ୍ଞକୁପ୍ରଦାଇ  
ଯି ଉରୀଳି ନାଲାକାରାଜ୍ୟରେ ଥିଲା, ଅଲାଙ୍କ ମହେଲାଦ୍ଵୀପରେ ଏହାରି ଦା ଏହିତ ଲାଭିଲେ,  
ହାତିଆ ମହେତାଳି ପା ତି ପ୍ରିୟ ମହାରେଣିଲା ପ୍ରାରମ୍ଭ ପିଲେବେଳାଦା, ଗାଁ  
ମନ୍ତ୍ରୀଗିଦା ଶାବଲାଗିଦାନ ଦା ଏହିମାଶିନ୍ଦ୍ରଜ୍ଞ ପାଇଗିଦା ଶାନାମେଲାରାଦ. ଗାନାରା  
ଦ୍ୟୋମି-କାମୁଖଲାଳି, ମହାର-ଗାଁରାଦି ଦା ଗାମନ୍ତ୍ରୀଗିଦା ପିଲାମିଲି ଲାଇ  
ମିନିକୁରାନ୍ତିରେ; ଗଢାବେ ମାତ୍ର କାନ ମଧ୍ୟମିଲାଦି ଦା କାନ ଲାଭିଲି ମେହରେବାଦି;  
ମେହରୀମେବାଦି ଦା ମହେଲାମହେଲାନି କ୍ଷେତ୍ରେବେଳାନ୍ତିରେ. ଫାରନାମିଥି  
ମନ୍ତ୍ରୀଲା ପାପି ପାଇଲିପିଲାଦି ଏହା ପାଥିବାକାଳିକା, ଏଠିରୁମି ପ୍ରେଲାବା  
ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଗାନାରାଜ୍ୟରେବାଦି ପ୍ରେଲାବା  
ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, କାମାକାରି କିମ୍ବାଦିବେଳାଦି, ଶାବଲାମାନିମାନି  
ପିଲାକାରି ଦା ଏହି ଶାବିତ କାରିତାମାନିମାନି ଶାବଲାମିଲାଦି ଦା କାଳିକା  
ପିଲାକାରି ଦା ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି  
ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି  
ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି:

— କେବଳ ଏହାକୁ ପିଲାନ ଫାରନାମି ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି ଶ୍ରେଷ୍ଠବି?  
କିମା ଦାଇଲି ଶାନ୍ତିକୁଳାଦି ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି, ମନ୍ତ୍ରୀଲା ପିଲାମି ଗାନାମି  
ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି ଶୁଣିବାରେବାଦି ଲାଭିଲା, ଦରଗ୍ରେ \*). ମନ୍ତ୍ରୀବେଳାଦି ଗାନାମି  
ଦାରଦ୍ୱାରି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି ଦା ଶୁଣିବାରେବାଦି ଶାନ୍ତିକୁଳାଦି  
ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି  
ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି, ଶାନ୍ତିକୁଳାଦି?

ଫାରନାମିଥି ପ୍ରେମିଦା: — ପ୍ରେଲାବାରେବାଦି ମାନିତାଲା ପାଦିଗିବାତି  
ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି  
ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି ପିଲାମି

ଶାବଲା ଲାଗିଦା ନିରଗାଵିଦା ଗାନାମି ଫାରନାମିଥିଶାନ୍ତିକୁଳାଦି ଏହା

\*) ଦରଗ୍ରେ—ରାନ୍ଧାରାନ୍ତି, ପାଇଲାମିଲାଦି.

\*\*) କ୍ଷେତ୍ରୀ—ମିନ୍ଦି, ଶୁଣାଦି ଗାନାମିଲି.



მოხერხებულიად ნალიპარაკევსა და, სადაც კი შემთხვევული გრძელი მომავალი ამ ამბავს ცემოდათ, თითონიც სიტყვა-სიტყვით გადასცემდნენ ამ ამბავს ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდის. კიდევ ჰეითხევლნენ:

— რას ამბობენ, როდის ჩამოვა ფარნაოზი ბარად, როდის გამოჩნდება ხალხში?

ფარნაოზი უპასუხებდა:

— ამბობენ ახლა ის ოცი წლისა უნდა იყოს და ზალე გამოჩნდებათ; ჩამოვა ბარად თუ არა, მაშინევ ომს ვამოუცხადებს აზონსიო.

— შენს პირს შექარი, ვაეკაცო! ნეტავი-კი მალე ჩამოსულიყო ბარებ ის დალოცვილი და გავენთავისუფლებინ ეთ მოსისხლე აზონისაგან, თორებ მოსვერნება აღმრა გვაძეს მისუან: მისი შიშით შვილები შინ ცელარ დაგვიტოვებია, მისი მოხელენი მზივ გვიცევიან სახლში, დავაუკაცებულ ბიკებს გვტაცებენ სახლიდან და შერე სად მიჰყავთ, რას უშერებიან, არ ვიცით!!.

## XII

ფარნაოზი დილმის მინდორს გავიდა და კლდე-ფორაქოვან ხეებ შეუხერა, მზე ჩასვერნებას ესწრაფოდა. ფარნაოზმა აქ თვალი მოჰქრა ირემსა და შესდგა. ირემი არ დაუფრთხა, მობრუნდა, ერთი ღონისეული დაიფრუტუნა და ფარნაოზს თვალი გაუშტერა. ფარნაოზმა დინჯად მშვილდისარი გადმოილო მხრიდან და სასროლად მომართა. ირემშა ამასობაში უცრად თავი დახარა და ისარივით ფარნაოზისქენ გამოსწიო. ფარნაოზი გაოცდა ირმის ასეთი საქციელით, ნება მისცა ბოლომდის შეესრულებინა თავის წიგნილი და მხოლოდ მაშინ, როცა ირემი ის იყო უნდა რქებით დასტაცებოდა, უშვა მომართული ისარი და შიგ ქეჩოში განგმირა იყო! ისარმა ტკინს შეატანა და მომაკედავი ირემი იქვე დაეცა. ფარნაოზი ირემ-



თან მიცედა და განციფრდა მისი სიღიადით, შეუშეფრქნიან უკა  
გამოშეტყველებით. ირემთ გმირი გმირულად კვდებოდა...  
ფარნაოზს მოწინა ირმის გმირობა, დაენანა მისი მოკველა,  
მაგრამ მალე შეურიგდა ცხოვრების ასეთ უკულმართობას და  
დაჯდა იქვე ახლოს მცირედ შესასვენებლად. ხელი თავს აუ-  
ყუდა და ფიქრს მიეცა...

მზე უკვე ჩასვენებულიყო. დასავლით ლრუბელი ლრუ-  
ბელს ეკვითებოდა და გაჩქარებული დილმის ტყიან მთებს ეფი-  
ნებოდა. დაიწყო წევიძა. ფარნაოზმა აქეთ-იქით მოიხდა, რომ  
თავშესაფარი რამ გამოარჩიოს და ლამზე იქ გაითიოს. ხედავს  
კლდეს და იქვე რაღაც ძველ, მცირედ დანგრეულ კედელსა.  
მიეციდა ახლოს და გამონგრეულში შეიხდა. ნახა, რომ გამო-  
ქიაბულია. ამოიღო ჩუგლუფი \*) და იმდენად გამოანგრია და-  
ქცეული ალაგი, რომ თითონ და მოკლული ირემი შეტეუ-  
ლიყვნენ. შეათრია ირემი გამოქვაბულში და თითონაც შეგ  
შევიდა. წვიმა ნიალვრად გადაიქცა. ფარნაოზი გარედ გამო-  
ვარდა, მოაგროვა აქა-იქ ხმელი ფიჩი თუ შემა და სიჩქა-  
როდევ გამოქვაბულში დაბრუნდა. გაძერა ტალს კვესი და  
ცეცხლი ააპრიალა, რომ გაშრეს და ირმის ცურიანი მწვადით  
დანაყრდეს. შავრამ, პოი სასწაულებავ! ცეცხლის შუქმა ისე  
გაანითა მთელი გამოქვაბული, რომ ფარნაოზმა გამოქვაბუ-  
ლის შორს სიღრმეში უნებლივდ რაღაც სხვა გამონაშუქაც  
მოჰკერა თვალი. ფარნაოზს ელვის სისწრავით განძის პოვნის  
აზრმა გაუტბინა თავში! ადგა, მიცედა ახლოს და, მართლაც,  
ხედავს მთელ გროვს თქრო-ვერცხლისას და ბრინჯოსას.  
დაეარდა მუხლებზე და შეურევალე მაღლობა შესწირა უხილავ  
ბედა, რომ ასე უხვად დააჯილდოვა იგი ამისთანა საჭირო  
დროს!

\*) ჩუგლუფი—პატარა ჩაქვეჩია.



## XIII

ეროვნული  
ბიბლიოთეკი

ფარნაოზს იმ ღამეს ალარ დაუძინია. გამობრუნდა,  
ცეცხლს მიუმატა და კვლავ განძთან მივიდა; დაათვალიერდა  
იგი დაწყრილებით, გადააწყო ზოგიერთი მათგანი ცალკე და  
დარწმუნდა, რომ ის ერთი იმ ხაზინათაგანი უნდა ყოფილიყო,  
რომელსაც იხმავდნენ და ინახავდნენ სხვა-და-სხვა ადგილას  
ქვეყნის შევ დღისათვის მცხეობის შთამომავლნი. ამაზე მი-  
სთენ ბევრჯელ უამბნიათ მის დედას და ძალუას, სამარა-მა-  
მასახლისის ცოლს. ამის უკეველი მანევრებელი ის იყო, რომ  
ნაპონ განძეულში ფარნაოზმა სხვათა შორის გადათვალია  
ათი ოქროს ქუდი, მხვივი იხლანდელი თუშური ქუდისა,  
შემკული მრავალი ძეირფასი ქვებითა და კაჟლის ოდენა აღ-  
მასებითა. ესენი იყო გვირგვინები მცხეთის მამასახლისებისა.  
ერთი ცალი ასეთი გვირგვინისა ფარნაოზს ხშირად ენახა  
თვით თავისი ძალუას სახლში. ასეთ გვირგვინს და ფაენს \*),  
ძალუას სიტყვით, მოართმედნენ მცხეთის ყოველ ახალ მამა-  
სახლის ქართლობისით. თავე კუდი ნიშნად გვარის უტრობო-  
ბისა, ხოლო გარდაცვალებულ მამასახლისის გვირგვინს და  
ფაენს საგვარეულო განძეულში ინახავდნენ. ნაპონ განძე-  
ულში ფარნაოზმა ნახა აგრედვე რამდენიმე ძეირფასი გვირ-  
გვინი უცხო ქვეყნის მეფეებისაცა, წართმეული აღმაღ მეზო-  
ბელ სამეულებზე თავ-დასხმის დროს და სხვა მასავალი ნიდოი,  
სასამსახურებელი და სისამკულო. ფარნაოზმა მოსთვალა თა-  
ვის გონიერაში კუდილი ამ ნიერების დახლოვებითი. ლირებუ-  
ლება და დარწმუნდა, რომ ამ განძით იგი შეინახავს თუნდა  
ასი ათას ჯარს ხუთ წლიმდის და მეტე, თუ ბედი გამარჯვე-  
ბას აღირსებს, ადგილი იქნება მისი კვლავ შევსებათ, ქვეყა-  
ნა ზღვაა და ხალხის ყოველი ფარა \*\*) კვლავ ერთი ასად აჭ-  
ცეს შესაო...

\*\*) ფაენი—საეფულებო ჯონი ოქროსი.

\*) ფარა—კაპეიკი.



მრავალული

ფარნაოზი მობრუნდა ცეცხლთან, ააქრა ირეშე ჩამოსულა  
ნიშე საუკეთესო ნაწილი, ჩაწყო სანადირო პარეში, რომე-  
ლიც მხარზე ჰქონდა ჩამოკიდული, აიღო მშეოლდისარი, გა-  
მოვიდა გარედ, ამოყორა კვლავ დანგრეული კედელი თავი-  
სივე ქვით და წამოვიდა შინ.

## XIV

მცხეთელებს ჯერ კიდევ მავრად ეძინათ, რომ ფარნა-  
ოზმა ფრთხილად შეალო საღვოშის კარი და შევიდა სახლში.  
დედას და დებს გამოედებით და, რაღვანაც ჭალიქში უკვე  
გამშირებული ყოვილი იყო მამლებისა, წამოიშალნენ და იღ-  
ვნენ. ფარნაოზმა ამოალავა ჯერ ირმის ხორცის ნაკრები და  
შემდეგ მოიწყია დედა და დები, რომ ყური დაუგდონ მის  
ნალაპარაკეცა. დედა და დები სმენად გადიქცნენ, რაღვანაც  
დაინახეს, რომ ფარნაოზი იმ დროს რაღაც განსხვავებულ  
გუნდაზე იყო. ფარნაოზმა დაწერილებით უამბო ხალხის  
ნალაპარაკეცი გმირი მიტრიდატის შეილის, ფარნაოზის, სანა-  
ტრელ მოლოდინზე, შემდეგ დიღმის ვიწროებში ირმის შე-  
ხვედრა-მოკვლაზე და, ბოლოს, იქვე ახლოს, გამოქვაბულში,  
დიდი განძის პოვნაზე. დედა და დები თვალ-ცრემლიანები  
უსმენლენ ფარნაოზს ამ დაუჯერებელ ამბავს და ვერ ბედავ-  
ლენ ხმა-მალლივ გამოეთქათ თავისი წრეს-გადასული სიხა-  
რული და მღელვარები, რომ სახლის პატრონებს შეორე თოა-  
ხში არ გაეგონათ, რაღვანაც თვით ფარნაოზი დიდის სი-  
დუმლოებით და მხოლოდ ოდნავ გასავები ხმით უამბობდა  
მათ იმ დაუჯერებელ, მაგრამ ნამდევილ ამბავს...

საღამო ეამს ფარნაოზმა ინახული თავისი მამა-მმუქძენი  
მათი დავაუკაცებული შეილებით და სთხოვა, რომ შეღამების  
ეამს უკელანი გამოცხადებულიყვნენ შასთან მდინარე მტკერის



გაღმა საუკეთესო ცხენებით და ვაშეარანებით \*). შეიძლება მარტინი თეით ფარნაოზიც თავისი დედით და დებით და, დაღამდა თუ არა, შესხდნენ თოხნიერ ხურჯინ-გადაყიდვებულ ცხენებზე და მოვიდნენ დანიშნულ ალავს, შეუერთდნენ აქ მცხეთის თავეა-ცებს და გასწიოს ერთად დილმისაკენ. შეაღამისას ფარნაოზი უკვე გამოქვაბულთან იყო. ჩამოხტნენ ცხენებიდან. ფარნა-ოზშა ამოილო ჩუგლუკი, მიიყვანა ყველანი აყორილ კედელ-თან და მხოლოდ აქ განუცხადა თავეაცებს, რისთვის და რა მიზნით წამოიყვანა ისინი ვაშეარანებით. ფარნაოზშა გამოან-გრია კედელი, შეიყვანა გამოქვაბულში თანამგზავრნი, აინთო სანთელი, აჩვენა ჯერ მოკლული ირემი, რომელიც იქვე ემ-დო კარებთან, და შემდეგ წაიყვანა გამოქვაბულის სილრმეში და ზედ განძეულზე მიაყენა ისინი. განცვიფრებულმა თანა-მგზავრებმა უკან დაწიგეს, დავარდნენ მუხლებზე და მხურვა-ლი მაღლი შესწირეს უხილავ ბერს, რომ მან ასე უხვად და-აჯილდოვა მათი პატრონი ამისთანა საკირო დროსა...

გადასწუყიტეს ახლავე ჩააწყონ ხურჯინებში გამონარჩე-ვით საუკეთესო ნივთები და გასწიონ პირდაპირ იმერეთის-კენ, ეგრისის მმართველ ქუჯისთან. ერთ კვირაზე ფარნაოზი და მისი თანამგზავრნი უკვე ეგრისის ქვეყანაში იყვნენ.

## XV

ფარნაოზშა გზიდან ვე გაგზავნა ქუჯისთან პოტიჭული ძეირფასი ძლვენით და შეუთვალა, რომ გმირი სამარა-მიმასა-ხლისის მმის, მიტრიდატის, შეილი, ფარნაოზი, მოედივაზ შენ-თან სტუმრად დედით, დებით და მცხეთის თავეაცებითამ. ქუჯს დიდად იმა ეს მოულოდნელი მმახვილი, საჩქაროდ აფრი-ნა თოხ-კუთხივ ფეხმარდი შიკრიკები და მოუწილე სრულიად

\* ) ვაშეარანი—ჩურჯინი, ტომარა, მატრაშა, გუდა და მისთანები.

აფხაზ-ეგრისის და იმერ-სვანეთის თავებიცებს ზღაპრულად ფრთხოებით  
დარჩენილ მცხოვრის შთამომავალის დიდებულ დასახუტტებლად გამოიყენება  
რად. ამგვარ ფარნაოზის გამოჩენისა, რომელზედაც მა-  
ნამდის ნამდევილი ზღაპრული ხმები დადგინდა ხალხში, ელ-  
გის სისწრაფეით მოედვა მთელ ეგრის-აფხაზეთის და იმერ-სვა-  
ნეთის. მოვიდნენ მოლოდინზე ას წილად მეტი და უფრო-კი  
თვით ქართლიდან გადმოხვეწილნი, შეიარაღებულნი საუკუ-  
თხსოდ და უფრო-კი შორს-მტკორენელი მშვილდ-ისრებით,  
რომლების უქნოლობით ასე სასტიკად დამარცხდნენ მათი  
გმირი მამები ამ ოცნებების წილის წილად.

ქუჯი სრულიად არ მოელოდა ამოდენა ხალხსა; მას არც  
დაუძინა მათთვის. მოვიდნენ თითონ, რათა ნახონ და გაი-  
გონ სიტყვა უცელისთვის სანატრელი ფარნაოზისა! ეგრის-ქა-  
ლაქი კი იტყვდა ყოველი მხრიდან მოსულ ხალხსა. ამიტომ  
ქუჯიმ გასცა ბრძანება—დამართონ ქალაქს გარედ ფანჩატუ-  
რები, დაგან კარვები და შესაფერისად მოათავსონ შეგ მო-  
სული ხალხი. მაგრამ ერთი ასაც უფრო მოულოდნელი და  
განსაკუთრებული ალმოჩნდა თვით დახვედრო ფარნაოზისა და  
მისი დელისა, დებისა და მცხეთის თავ-კაცებისა ამოდენა ზღვა  
ხალხის ხვანი.

ქუჯი მიეცება ფარნაოზს და მისიანებს ქალაქ ეგრისიდან  
—ოც ეგრისის მანძილზე, ემბორა \*) ძმურად და შეიტებო, ვი-  
თორც შეგობარი და უფროსი; ხოლო თვით ხალხში მუხლის  
მოდრევით თაყვანი სცა მოულოდნელი გამოჩენილ მემკვიდ-  
რებს მცხოვრის მამასახლისებისას...

ახლა-კი უკუაგო ფარნაოზმა ყოველი სიღუმლოება  
და პირდაპირ გამოუტადა ხალხს, თუ რისთვის და რა შეძ-  
ლებით მოვიდა იყი ეგრისს:

— იც წელიწადია საშინელ განწირულებაშია, ძმებო,  
სრულიად ქართლოსიანთ გვარი! აბა ერთი მითხარით, რა

\*) ემბორა — აკოცა.



გინდათ თქვენ აქ, ქართლის ძენი! როგორც ჰქონდეთ მეტების კარგად ხედავთ, აქ თქვენ უფრო მეტნი ხართ, ვიღრე თვით ეგრის-აფხაზეთის და იმერ-სვინეთის მეციდნი. განა ეს საუკეთესო ხაბუთი არ არის იმისა, რომ ქართლოსიანებს სამშობლოში აღარ გვეცხოვრება, რომ მოძალადე მტერი მთელი თავისი ძალით ლამიბს სრულიად მოსპოს ჩევნი სახენებელი!.. დღეს მეღა ვარ, ქართლოსიანებო, ერთად-ერთი შთამომავლი გმირი ქართლოსის შეკლისა!.. მომყვით, ძვებო! შეადგინეთ ასი რაზმი, ათასი კაცით თვითეულში: მე ვარ მიმცემი როგისა \*) კველა მათგანისათვის. აარჩიეთ სარდლები, ანუსხეთ, ვის რა სქირია იარაღი თუ ტანთსაცხლი, და გზავნეთ ოთხ-უთხივ ფეხ-ზარდი შიერიები, აცნობეთ ჩემი ყოველი იმზიერი და მოუწოდეთ სრულიად ქართლოსიანთ მთა-ბარში მცხოვრებთა და შათ მეზობლებსა დადგნენ ჩევნი დროშის ქვეშ! აუწყეთ, რომ დღეოდანვე კარბად მიეცემა თვით ჩევნგან კოველ ჯირის კას ყოველი საჭირო ულუუ-\*\*).

ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. არ იყოდნენ — რით და როგორ გამოეთქვათ თავისი უსაზღვრო სიხარული ასეთი შეუდარებელი წინამძლოლის მოულოდნელ გამოჩენაზე... შეუდგნენ საჩქაროდ რაზმების შედგენა-აღნუსხევს და საუკეთესო სარდლების იმორჩევას. სარდლები დაუყოვნებელი შეუდგნენ რაზმების წრთვნასა და საუკეთესოდ ცერარი-ლებასა. მომზადების უმაღლეს ფარნოზმა და ქუჯიშ უცემად-გადმოლობებს ლიხის მთა და შემოვიდნენ ქართლს...

## XVI

აზონი დაფრთხა. იგი ვერ დაენდო თვით საუკუთარ ჯამა-სა და ამიტომ, ვიგო თუ არა სრულიად ქართლოსიან გან-

\*) როჭი — გარდაკეთობის ჯამაგრები.

\*\*) ულუუ — საჭმლის კერძი, საზრდო.



დფომა და ფარნაოზ გმირის გამოჩენა, აზონშა დაუყოფილი გარება და მხოლოდ რამდენიმე ერთგული კაცით გაიქა კლარჯეთს \*). აზონი არც თვით მაკედონელებს და ბერძნებს უყვარდათ, რაღაც იყო კაცი მესისხლე და სასტიკი. ამიტომ, ჯარმა გაივრ თუ არა, რომ აზონი გიოვარით, ყველანი ფარნაოზს მიემხრნენ და შეპირებს ერთგულება. ფარნაოზმა მიიღო ისინი თავის სამსახურში და აღუთქვა დიდება და ჰატიი უველას, ვინც ერთგულად ემსახურება მას და დაიცავს ქვეყანას შტრებისაგან.


ასე და ამგვარად დაიპყრო ფარნაოზმა მუხეთა და სრულიად ქართლოსიანთ ქვეყანა უომრად და ბაშინვე გასცა ბრძანება, რომ ჯარმა კვლავაც განვიტოს სალაშქროდ მზადება, რაღაც ამ აზონის დაბრუნებას. მართლაც, გავიდა ორი წელიწადი და მოვიდა ამბავი, რომ აზონშა მიიღო დამხმარე ჯარები საბერძნეთ-მაკედონიიდან და ქართლზე მოღისო. ფარნაოზმა ამასობაში უკვე ისე ჩინებულად მოაწყო და გაწვრთნა თავისი ჯარები, რომ იმოდენა და მისთანა კარგი ჯარი იმ დროს არც ერთ მეზობელ მეფეს არა ჰყავანდა. ფარნაოზი მიეცება აზონს არტაანის \*\*) ქალაქთან და გამაგრდა ა. მოვიდა აზონიცა ურიცხვი ჯარით. გაიმართა ძლიერი ბრძოლა. მოსწყდა ურიცხვი ორგნითვე, მაგრამ, ბოლოს, იძლია აზონი ფარნაოზისაგან. დაფრთხა ბანაკი აზონისა და გაიქცა. ქართლოსიანებმა დევნა უკვეს, მრავალი დახოცეს

\* ) კლარჯეთი — ახლანდელი აჭარა, მდინარე კორიოზის ხეობაში, მათუმცის ოლქში.

\*\*) არტაანი — ახლანდელი არდაგანი, მდინარე მტკეცის პირად. აზონი იყო უძეველესი ციხე-ქალაქი საქართველოსი. უწინ მას ერქვა ქაჯ-თა-ქალაქი, შემდეგ ჟერი. მის დაფუძნებას მიაწერენ მცხეთის შეინაუვანების. ვამტანე გორგასლანის დროს აქ იჯდა ეპისკოპოსი, ხოლო ზემდეგ — ერისთავებიც.

და უფრო მეტი-კი ტყვედ<sup>\*)</sup>) დაიკირეს. დაიპყრა ფარნაოზ კლარჯეთის, მთარბია საბერძნეთის საზღვარნი და დაბრუნდა მტბეთას გამარჯვებული დაქ ვეუნის კილით-კილემდე განლილებული. მტბეთაში ფარნაოზს, სხვათა შორის, მოეგებნენ (301 წელს ქრისტეს შემდეგ), ანტიოქიის<sup>\*\*)</sup> მეფის დესპანები<sup>\*\*\*)</sup> და მთართვეს<sup>\*\*\*\*</sup> თავიანთ მეფისაგან გამოგზავნილი, ძვირფასი სამეფო გვირგვინი და წოდება სრულიად საქართველოს მეფისა!.. შეიქმნა ფარნაოზ მას აქეთ პირმშოდ ქართლოსიანთ თავისუფლებისა და ერთიანობისა!..

ივ. ჩოსტომაშვილი.



<sup>\*)</sup> ტყვე—ომში ნაშოვნი, დაპერილი კაცი.

<sup>\*\*) ანტიოქია—უმთავრესი ქალაქი სირიაში, უწინდელს დროში ითვლებოდა უპირველეს ქალაქად რომისა და ალექსანდრიის შემდეგ. იყო სარატრო ქალაქად სირიის მეფებისა და პატრიკარქებისა; დააფუძნა სირიის პირველმა მეფემ სელეუკო ნიკატორმა 300 წელს ქრისტეს შემდეგ.</sup>

<sup>\*\*\*)</sup> დესპანი—ელჩი, მოციქული, მეფისაგან გამოგზავნილი ჭაცი.

# შესვება.



ადგურ „გომბორის“ აივანზე დიდხანს იჯდა  
ორი მგზავრი: ვერ იქნა ვერ აღმოჩნდა თავი-  
სუფალი ცხენები ეტლში შესაბმელად.

ორთავე მგზავრის გულ-მოსულობას ქა-  
დად ამხელდა მათი შეკმუხვნილი შუბლი,—  
განსაკუთრებით უმუროსისას. მისი სახე, რო-  
მელზედაც ლამაზად აკოკრებულიყო პაწია ულ-  
ვაშები, დიდ მოუთმენლობას გამოპატივდა.

მართლაც, ისე არაფერია მომაბეჭრებელი, როგორც სა-  
დგურზე ცდა და უნებლიერ თვალიერება კედელზე გაკრულ,  
ბუზებისაგან დალაქავებულ იაფ-ფასიან სურათებისა.

ყოველთვის, როგორც კი ეკვნების ელარუნს გაიგონებდ —  
ნენ ხოლმე, მგზავრები] ზესე წამოიკრებოდნენ, მაგრამ ამა-  
ოდ. ეს იყო ან განსაკუთრებულ შემთხვევისა ან დილიქინისა—  
თვის შენახული ცხენები.

ბოლოს როგორც იყო თვანზე ამოგორდა ერთი ვეება  
კაცი, რომლის დიდი ღიპი მოწმობდა, რომ იგი ტყირპიეთ  
მარად ერთ ილაგას იყო მიკრული, და განაცხადა: ეტლი მზად  
გახლავთო.

მგზავრები საჩქაროდ გამოვიდნენ გარედ, მაგრამ! ცხე-  
ნები მაინც არ იყვნენ შებმულნი.



ლიპოსანმა ზახიანიდ გასძახა საჯინიბოსკენ, საიდან უწევდა გარემოს  
ისმა ჩიხლებილი გამოხმაური.

მალე იმავე გაცრუებულმა ხმაშ გამორეკა გარედ ცხენები  
და დაუწყეს ეტლში შებმა.

მეტლე იყო ისეთივე ჰუკუინი და ტლანქი, როგორც  
ცველა დაბალი მოსამსახურე კახეთის გზაზე მავალ „ომნიბუ-  
სებისა“

იმ შეაბა კიდევ ცხენები, შეახტა კოფოს, აღვირები მო-  
სწია, გაქონილ - გათვლიანებული პრტყელი ქუდის მზგისი  
ფალას-ფულასი შეუბლზე მოგდო და ..

— „ვ37 ვ37“ . ნოო! . — და რაკი არ იძროდნენ მათია-  
ხის ტარი დაუშინა თავ დამძიმებულ ცხენებს.

— ეი, შედრეგო, რატომ ევრე უზაპუნებ ცხენებსა, — შე-  
ჰყვირა, „უფროსმა“ და დაუწყო უწმაწურად ლანძლვა... ბრუ-  
მეტლე დაურჩა მევალე და შეუკურთხა ისე, როგორც ის-  
ინ გინება მეცოფოებმა.

ეტლი რახ-რახით დაეშვა ქვა-ლორლით მოფენილ გზაზე...

\* \* \*

ზგზავრები მდუმარედ ეგებებოდნენ ნელ-შემოლამებას,  
რომელიც წარმტაც სანახაობას წარმოადგენს მთებში, მათ ოდ-  
ნიერ ბევრითაც-კი არ უნდოდათ. დაერლვიათ ბუნების იღუმა-  
ლობა.

მთა-ბარი მოქარგული იყო ცის წითელი გამონაკრთო-  
მით, რომელიც აეჭერადებინა ჩიმიეალ შხეს. ეს ფერიადობი-  
თან-და-თან ჰქრებოდა; ცა შავლებოდა და ბარიც ბინრ-ბინ-  
დის საბნის ქვეშ საძილედ ემზადებოდა. —

შეუბრის სევდიანმა სახემ თავისებურად მომართა მეზავ-  
რების გრძნობათა სიმები...





დიდხანს იყო მათი გულის-თქმა დუმილის წილში გვევარავა სკენებული.

ეტლი აღმართზე ნელა მიღილდა და შეეტლეს შეფ-როდა მოლლილ ხმით, რომელიც ისე ისმოდა სიკრცეში, თიოქოს უფსერულიდან ცოცვით ამოდისო..

მომჯადოებელი იყო მისი სიმღერა... მართალია, მისი ხმა არ იყო მელოდიური; პირიჭით, იგი ისევე ჩაწყვეტილი და გატეხილი იყო, როგორც შეეტლეს მთელი არსება, მაგრამ მის უხეშ სიმღერაში ოდნავ ჰიტორიუმენტი ნოტები, ისე-თივე სიედინი, ვით ტლუ მწყემსის სალამურის კვნება, და ისეთივე ნაზი, ვით იმავ მწყემსის თვალებში აღბეჭდილი სულის ოქნება. ფრიად იდუმალი იყო ეს ნოტები... ძალიან შერძნობელი სასმენელი უნდა გქონდათ, რომ გაგერჩიათ...

შეეტლეს უხეშ სიმღერაში ეს ნოტები ისევე მალულად და შეუმნიერებლად ჰიტორიუმენტი, როგორც ჰიტორიან ცხოვრების ფსკერზე მუოფთა გულში კეთილ-შობილური გრძნობანი, სიამიყის სიმები...

შეზაერნი გონებით, შევნებულად არავითარ ყურადღებას არ აქვევნენ შეეტლეს სიმღერას, არც-ეკ ჰიტორიუმენტი მის არსებობას. მათი ფიქრი-ოქნება თავს დასტრიალებდა გომბორის მაღალ მთებს, რომელნიც ცაში ბუმბერაზსაეით მიმაღულიყვნენ...

ხშირად მთაზე თვალს მოკრავდით ციხე-კოშკებს, რომ-ლებზედაც მრავალ საუკუნოებს გრგვინვა-რუსერუსით გადაეც-ლო და ვერა დაეკლო რა. იჯინი ისევ ისე ამაყად იდგნენ, ვით პირველ აშენების ეამს...

მხოლოდ ხავსი, დრო-ეამის აღმბეჭდელი ხავსი, განვლილ საუკუნოთა შემატიანე, ჰლალადებდა კოშკების სევდას, მათ კა-ებანს. ციხეთა კმუნვის მიზეზი იყო ის, რომ მოსავანედ მო-ტუნებურ ჟღრის მეტი აღარა მოვპოვებოდათ რა... მათ კედ-ლებში წინაპართაგან შენახული უნჯი და დიდება ვაოხრებუ-



ლიყო და გაცამტვერებულიყო ისე, რომ ვერავის ესარგებულება... ესმოდათ მგზავრებს შეეტლეს იდუმალი ნოტები, და ეგონათ, რომ ის პანგები იყო ხმიანობა ციხე-კოშკებზე მწევა-ნე ზოსტერად შემოტკიცებულ ხავსის ბიბინისა...

მათ ეგონათ, რომ ნოტებით მოსთქვამდა აჩრდილებად ვადაჭულ ციხის წინა-პირთა ოცნება...

\* \*

ოქროს დალალ-გადმოშლილი მთვარე სიამოდ ჰკაშკაშებდა... მთებში დაკლაკნილ გზა-ტკეცილზე მიმავალ ეტლის, ტხერნებისა და შეეტლეს ჩრდილი გზის ხან ერთ ნაპირზე მოქაულდა და ხან მეორეზე... ჩრდილი ჯერ პატარანი იყვნენ... მერე იწყებდნენ ზრდას... გრძელდებოდნენ, და უკად ჰქონდნენ. ახლა ეტლის გარს იწყებდნენ მოძრაობას.

ვოგია რომ თვალს აღვენებდა ჩრდილის ცვალებადობას დამის იდუმალობაში გაისმა ოლოლის მწარე კივილი:

— თევდორეეე!!!...

კარგა ხნის შემდეგ თევდორე გამოეხმაურა.

— იპოვერე?

— ვერა, ვერა, ვერააა!

საბრალო ფრთისნებმა მწარედ ჩაიქვითქვითეს. მგზავრნი შეჟრონენ, გაფითოდნენ...

მტანჯავი დუმილის შემდეგ იხალგაზდა მგზავრმა ვოგიაშ შიმართა უფროოსს:

— მასწავლებელო! მე მგონია რომ, ოლოლი სრულიად ახალი ფრინველია. იგი არ უნდა ყოფილიყო მეთომეტე საუკუნეში, როდესაც საუკეთეოდ და სასიხარულოდ ჰყეაოდა ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურა.

მას შემდეგ, რაც განისვენეს თამარმა და მისმა მეხოტე სულმნათმა მგოსნებმა, ხაჭართველოს ბედის ბილიკი ატალა-ხლა...

ମୂର୍ଖାନ୍-ୟଶୁଦ୍ଧ ରା ତୀହାକଥିମା ତମ ସାମିନଲାଙ୍ଘ ଭାବିଷ୍ୟତରେ...  
ଯାରି... ମହନ୍ତି, ଏତମି ପିନାର୍ଜନ ମି ଘରରେ ନେଇ ଯେ ଦେଶରେରେଲାଗି  
ଫରିଥିଲାମିନି.

ଯେ ଘରିଲାମାନି ପରିବାର ମହିଳାଦିଦ୍ୱାରା ପରିବାର ପରିବାର କୌଣସି  
ମହିଳାକଣ୍ଠରେ ଯେଉଁ ମହିଳାକଣ୍ଠ, ମହିଳା କୃତି ପରିବାର ମହିଳା  
କୃତିରେ ପରିବାର କୃତିରେ ହାତରେ ପରିବାର କୃତିରେ ପରିବାର... କୌଣସି...  
କୌଣସି ପରିବାର ପରିବାର କୋଟି ମହିଳାଦି ମହିଳା କାମକାରିତା  
କୋଟି.

— ପିନାର୍ଜନ, କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତରେ ଭେଦବିନ୍ଦୁ, ଭେଦବିନ୍ଦୁ କୋଟିବେ...  
ମୋ ଚକ୍ର, ରା ପରିବାରକୋଟି ଶିଳ୍ପିରେ ଗାନ୍ଧୀ, ମହିଳାକଣ୍ଠ କୁଞ୍ଜ-  
ଶିଳ୍ପି ପରିବାର କୋଟି ମହିଳାଦି ପରିବାର...

ଧ୍ୟାନକାରୀଙ୍କାରେ ପରିବାର କୋଟିବେ: ତର୍ଜୁନ୍ତପ, ତର୍ଜୁନ୍ତପ ପରିବାର କୋଟିବେ—  
ପରିବାର...—ମହିଳାକଣ୍ଠ ମହିଳାକଣ୍ଠ, ଏତମି ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ—  
ମହିଳାକଣ୍ଠରେ ମହିଳାକଣ୍ଠ... ମହିଳାକଣ୍ଠରେ ମହିଳାକଣ୍ଠ କୋଟିବେ ପରିବାର  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର...  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର...

ତର୍ଜୁନ୍ତପ, କ୍ଷେତ୍ର ଭେଦବିନ୍ଦୁ, ତର୍ଜୁନ୍ତପ ମହିଳାକଣ୍ଠ କୋଟିବେ  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର...  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର...  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର...  
କୋଟିବେ ପରିବାର କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର...  
କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର... କୋଟିବେ ପରିବାର...

უგდებდა ყურს მეეტლე მასწავლებელ — მოწაფის ხმიულობისა და უხმის საუბარს და თვალები ცრუმლით ექსეპოდა... ხანდაშით კიდევ მძიმე კვნესა მოპატებოდა ხოლმე გულიდან... ეს კვნესა უყო ვალალება თავისი თავისი, ბედითი წყვევა მოკლული გულისა...

\* \* \*

ღამე გატყდა. მოვარემ სხივიერება დაჰკარგა. ვარსკვლავებმა მქრალიად-და განაგრძეს კიმუმი... ჩამოიქროლი იმ გრილმა წიავმა, რომელიც მხოლოდ გარიერავის მოხსელოვებისას მოპატებს ხოლმე... მგზავრებს სიფხაზლისა და ე-ლის ჭვებზე ჯაყჯაყისაგან ჰარაქით — გამოლეჭულ სხეულში მათრობლიად დაუარი.. ძალა უფრო წაართვა... და მოლეშით მიასვენა ეტ-ლის სახურებეზე

იმათ ტკბილად ჩაეძინათ.

ტყის ფოთოლთა წარნარი შრიალი ვადაექსოვა მეეტლეს ლილინ-ჭვითინს და მწარ-ტკბილ ნანინად ჩაეწევთა ნეტარ-სის მრებში შეუურებულ მგზავრებს...

\* \* \*

ღამე თან-და-თან ჭუკითრლებოდა. რამდენადაც ვარსკვლავები კრთომას იწყებდნენ და პქრებოდნენ ლურჯ სიერკეში, იმდენად შუქური პრწყინდებოდა... პკიაფობდა...

ჩაწყვედიადებულ აღმოსავლეთს აღისფერი სხივები შეეპარა, როდესაც ეტლი გომბორის გრებილის მწვერვალზე მოექცა, წუთიცა და აღმოსავლეთი ოქროს გასაღებით გაღიხსნა... ოქროს ფრთხოსანი მზე ამოურდა და მთის კონცები გააშუქა.

გიუმავი სხივები მგზავრთა სახეს შეეხო, შეულიტინა და ვამთალები.

— ვიშ, ნეტარებავ! — აღმოპხდათ გულიდან მგზავრებს: — რა ტურფა, რა მომხიბლოვეი მზის ამოსვლა.



მათი გრძნობის ზეირთები ისე ამიქეფრდა რომ წილაპიროვანი განვითარდა ველარ შესძლეს.

ინ რა უნდა ეთქვათ? სიტყვა ხომ უღონოს სულის გან-  
ცდათა გადმოსაცემად.

კეშმარიტა! როდესაც გსურს ილფრთოვანება გამოსთ-  
ქვა—მაშინ დასტუმდი. დუმილით უფრო იმჟევრ-მეტყველებ,  
ვიდრე ლამაზ-ლამაზი სიტყვების შემწეობით.

იგინიც დუმილით გაპყურებდნენ ილმოსავლეთს, საიდა-  
ნაც ლალ-იაგუნდის მძივები ეფრქვეოდა გომბორის მთის კალ-  
თებზე გაშენებულ კახეთს.

ფირუზის ცაში ტოროლა აქრილიყო და თავდავიწყებით  
ჰებლობდა ბუნების სადიდებელს... ხან ისარივით დაეშვებოდა  
მთის ჰატარა ველებზე ქოხებში მძინარ თავის ერთგულ მეგო-  
ბარ მწყემსებს და ხმა-ტყბილი გოლობით აღვიდებდა... იწვევ-  
და მშვენიერების წიაღისაკენ.

ეტლი ისარივით მიქვეროდა დაქანებულ შარაზე.

აი, კახეთის ტურფა და ფართო ველიც გამოჩინდა. მის  
შუაგულში ცისფერ არშიასავით მიიკლიაკნება ალაზანი... აგერ  
ალავერდიც—კახეთის დიდების მოწმე.

გოგია სიხარულით აღიერო, რაკი წარმოიდგინა, რომ  
კახეთის ისტორიულიც შესანიშნავ ადგილებს ერთხელ კიდევ-  
დაათვალიერებდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით და შემ-  
დეგ გამჭროლავდა უცხოეთისაკენ უმაღლესი განათლების მი-  
საღებად.

ეტლი თავქვე მისარიალებდა. მგზავრთა ოქნებაც მისქრო-  
და და დილის გამჭვირვალე ნისლივით თავს უდღებოდა ტურ-  
ფა კახეთის გადაშლილ მიღამოებს... გოგია მთლიად დაითვრო  
შშვენიერი სანახაობით... იგი იცინდა .. იცინდა დაუსრუ-  
ლებლად. ი მიუახლოვდნენ წყაროს. იგი გადმოსჩუბჩუხებდა  
შერწეტა მთიდან.

გოგიამ თვალი შეავლო მის ფერდობზე ილმართულ სწორ



წიფლებს, რომელთა კენწეროები მზის სხივებისაგან პეტლიარებული პრეცენტით ანთებულიყვნენ და აღტაცებით წარმოსთქვა: „უ- პერელად უნდა დავლიო სადლებრძელო კეილუცი ბუნებისა. რძესავით ტკბილ მისიერ ნამცერებელიან!“

მსწარაფლ გადახტა და მშობლის ძუძუსავით დაეწაფა სპე- კულ ცვრებით მოსხრიალე წყაროს.

მასწავლებელიც გადაბჟყა და იქ ბუნების წიაღში ბუნების ზედაშით თავის მოწაფეს მოსთხოვა დაედო ჰანნიბალის აღ- თქმა, რომ იყი ერთგული გუშეგი იქნებოდა თავისი ერისა. :

გოგიამ წრფელად დასხდო მტკიცე აღთქმა. მასწავლებელი თვალებში ბედნიერების სხივი აუთამაშდა. დარწმუნდა, რომ იმის მასწავლებლობას უნაყოფოდ არ ჩაეცლო და ლირსეული თაობა აღზარდა მოხავლისათვის.

მგზავრები რომ ასე აღტაცებულნი იყვნენ — ეცბად მოყ- სმათ ყრუ ქვითინი. მოიხედეს და დაინახეს, რომ მეტლე პი- ჭყუდებოდა ეტლს და მწარედ სტიროდა...

იგინი გაოცდნენ...

ბოლოს მასწავლებელი მიუახლოედა მეტლეს, მოავლო ხელი და დაყვავებით დაუწყო გამოყითხვა ქვითინის მიზეზისა.

მეტლეს უარესად აუჩუყდა გული და სლოკინით ძლიერ წარმოსთქვა:

— მასწავლებელო, საყვარელო მასწავლებელო! მერჩინა თქვენს ხელთ მომკდარვიყავი, ვიდრე ასეთ გაჯახირებულს ცხოვრებას ვეწეოდე.

მასწავლებელი გაცბა, გასავსავდა ..

ვერაფერს მ-მხვდარიყო.

— ნუ თუ არ გახსოვს მასწავლებელო, — განაგრძო მე- ეტლები, — თქვენი მოწაფე ილია დუხჭირაძე, რომელიც იმულე- ბული იყა სწავლისთვის თავი მიერებებინა მას შემდეგ, რაც მამა გარდაიციალა.

მაშინ-კი მოაგონდა მასწავლებელს, რომ წინად, კარგა



ხნის წინად მეოთხე განყოფილებაში ჰყავდა ზორაციელი მოქადაკის ნიჭიერი, ბეჯითი, მოსიყვარულე...

შექედა ჭუჭუისაგან ჯავარისაეკთ გამიგრებულ წვერ-ულ-  
ვაშებში დაშალულ სახეს, ლრმად ჩაცერდა თვალებში და  
მისხედა ცყვლითერის...

შან ქვითინით გულში ჩაიკრა ბედერული ნამოწაფარი...

მხე უკვე საიმურად ჰყა შეაშებდა. ფრთოსანთა მაყრიონს უკვეუკი გამჭონდა... მწვანე მოლიტ დაფენილ გომბორის გრეხილებზე გაშლილიყო საქონელი და მაღინად შედეცულდა ციურ ნამ-ცურებით აბიბინებულ მსუყე ბალაზს... პექმზე მწყემსი ჩამომჯდარიყო და აკვნესებდა მასავით ტლუ-ობოლ სალოამურის...

მასწილებელს აღარა ახარებდა-რა, მიშვდა, რომ მას ძალიან, ძლიერ გამოიყენოს.

მის წინ იდგა ხალხის გაკირვებისა და უმწეობის განხორციელება და სიმბოლო—მყერლე, და საშინაო იტანჯებო—და...


გოგიაც უყურებდა ამ სურათს და მწარედ ილველფებოდა...

ის იყო მისი პირველი სევდის ურქმლები... იქ, გომბორის მთაზე პირველად შეიმტნო მთელის არსებით მშობელი ხალხის უსაზღვრელი ვაებია...

კომპიუტორის მთავრებრივი კრის სეცულარ აღმართა საში ქანდაკე მწერებარებისა.

ପ୍ର. ତୁମ୍ଭିରୁଣ୍ଡନ୍ଦିକେନ୍ଦ୍ରୀଲୋ.





# უკველას დროის გავუვის თავ- გადასავალი.

(გაგრძელება).

VI

დ ა ს ჯ ა.

პრექტ და ოქთ ხიდან ჩამოდიან. — შედებისაბენ გამპზაფრება. — რაუ-  
გის პასუხი. — ბავშების სასოწარკეთადება. — გრძეს თან-და-თან  
შეაგონდება. — ფა უცხოედის საიდუმლოებანი. — ცეცხლის გამ-  
ნენი ჩხარება. — კაველეს დროის პეტი. — უსულესთა განაჩენი. —  
განდევნიდა.



ოდესაც ბუნდოვანშა განთიადმა ნელ-ნელა  
განთანტა დედამიწაზე მოფენილი წყელია-  
დი, ერექმა გაახილა თვალი და ცოტა არ  
იყოს გაოცდა, როცა თავისი თავი ხეზე და-  
ინახა, მიგრამ, გადახედა თუ არა მის მელავზე დაძინებულ  
ჰატარა მშას და ქვეშ გადაჭიმულ მინდორს, მაშინათვე უკე-  
ლაფერი მოაგონდა.

მთელი სიერცე, რასაც-კი თვალი გადასწვდებოდა ტყის





რაღმებას მიაქცევს, მაგრამ ას ურთ განმავლობაშე უკავშირდებოდა რომელ  
რუნდნენ მაშები და მათი რისხევა შეუბრალებელი იქნება. მათ  
მლვიმე მიტოვებული დახვდათ.— შენგან დავიწყებული მოვა-  
ლეობის შეუსრულებლობას საშინელი, გაუსწორებელი შედე-  
გი მოჰყვა, კრექ, — კეთილშობილი ცეცხლი ჩამქრალა..  
თქვენ დალუპილები ხართ. ამ რა უნდა გაუწყოსო რიუგბი,  
ოქვე უბელურებო!

— ოჟ, რიუგ, რას ვეიზამენ?

— იმის, რასაც უშერებიან ჩრდილოეთის ირშებს და  
ცხენებს, როდესაც გარს შემოერტყმიან და დაიკერენ.

— დაგვხოცავენ?

— ასეთია კანონი.

კრექმა თავი ჩაღუნი. ოფო-ე მწარედ ატირდა.

ორივე ბავშვმა უკვე იცოდა, რა იყო სიკეთლის

შეწუხებულმა რიუგმა ურჩია გაქცეულიყვნენ.

— ტყეშა დამალენით, რაც შეიძლება მოშორებით აქვ-  
დან, — უკანებიდა რიუგი: — წალით აღმოხივლეთისაკენ და ყო-  
ველ დღე თქვენ გარშემო ახლო-მახლო ხეებზე აკაკუნეთ,  
სამჯერ ზედიზედ: დილით, შუალისას და საღამოზე. ეს ნი-  
შანი შე მომექმის, კოპოვნი თქვენ თავშესაფარს, და სანოვა-  
გეს და ტანსაცმლს მოგიტანთ, რომ ტანი დაიჭაროთ.

— გაეიქცეთ! — სოქვა ოფომ და გასწია, სცადი კრექის  
წაყვანა.

— შესდექით! — მოისმა უცბად სულ ახლოს ხმა; ხმაზე,  
მაშინათვე იცნეს უხუცესი.

უხუცესი მოულოდნელიდ წაადგა თუ არა თავს ბავ-  
შეებს, სამივე დაეცნენ მუხლებზე და ვეღრებით გაუწოდეს.  
ხელები.

— ჰელიმ შემატყობინა; რა ამბავიც გქონდათ აქ, — სოქვა  
დიდებულმა მოხუცმა: — რიუგს გამოვყე, დროზე მოვედი და  
უველავერი გავიგონე; გავიგე რა აგისსნათ რიუგმა და რას.

ვირთვა ჩემი და  
ვით გვისახოთ. უკვე გვიან არის: ველარ ისარგებლებულ უკარწება  
ვით. დაგიჭირეთ. სასჯელი სამართლიანი და შესაფერია: თავს  
ურ შოარიდებთ. ჩეცნები გელიან. წამოლით.

—ოჲ, უხუცეს! შეგვიბრალე! — ეველრებოლნენ ბავშვები.

— აქმ არ არის დამნაშავე, მამაო, — დაუმატა გაცხარე-  
ბით კრება.

მაგრამ უხუცესი მას ყურს არ უგდებდა და ნაღელიანი  
ხმით განაგრძობდა:

—ოჲ, კრებ! ასე გააძიროლე ჩემი ნდობა და ჩემი იმედი!  
მე მიხმარიდა, რომ ვხედავედი შენ სიმავაცეს, მორჩილებას,  
სიბრძნის მოყვარე ცოცხალ კუს, გონიერ მესსიერებას. მე  
შენ ისეთ მონაცირედ გამოვიყვანდი, რომ ტოლი არა გყო-  
ლებოდა. შენ-კი, რა ქენი? იურ შენ ესა? შენ ჩაიდინე საზი-  
ზლარი დანაშაულობა. შენ მოჰკალი ჩეცნი კეთილის-მყოფე-  
ლი, შენ მოჰკალი ჩეცნი ცეცხლი! ცეცხლისათვის შურის ძი-  
ებაა საჭირო. შენ ამით მოუსაჯე ჩეცნებს სიცივით სიკედილი.  
ამისათვის შენ უნდა მოჰკედე იმათხე ადრე.

— ოჲ, მამავ, შეგვიბრალე! მე შევიტყე...

— ჴ, მე ვიცი, რითიც გინდა იმართლო თავი, მაგრამ  
იმის თქმაც-კი არა ლირს ამ დანაშაულთან შედარებით. ცე-  
ცხლი, ჩეცნი ძეირფასი და პიტიქსაცემი მეგობარი, ცეცხლი  
ჩექრა! ქმარა სიტყვები, უბრძლო ლაპარაკი: მომყვერთ. შენ  
კიდევ, რიცხვ, თავი დანებე თვალებით ხვეწნას! ნელა წინ წა-  
დით, დამნაშავე ბავშვებო. ჩეცნები მაინც ნუ იხილავენ სა-  
ზიზლარ შშიშარებს, რომელთა სიტყვების ჩეცნებაც მოსმენა-  
თაც-კი არ ლირს.

საბრალო ბავშვები, რიუგის ნაზი თანაგრძნობით გამხნე-  
ვებულნი, ნელა დაეშვნენ სწორედ იმ ბილიკით, რომელზე-  
დაც გუშინ ისე მხიარულად ადიოდნენ.

დარღისა და შიშისგან ოფლში იწურებოდნენ; მაგრამ,  
შესდგეს თუ არა ფეხი მღვიმეში, საშინელი სიცივე იგრძნეს.

მღვიმეში სიჩუმე იყო გამეფებული.

უკავშირის აქ მოყვარა თავი და ღრმა სასოწარკვეთი ფრთხილი გაიცის თავები ჩაიტანათ. მწუხარებისაგან სული უგუბდებოდათ. საშინელება იყო.

ბავშვები სიკედილის შეჩვენების მოელოდნენ; მოეშადნენ, რათა მტკიცედ აეტანათ უბედურება, ამის მაგირად-ჯი... ეს სიჩუმე და ეს სასოწარკვეთილება, რომელიც მღვიმეში მეფობდა, მძვინვარე მუქარაზე გაცილებით უფრო მკაცრი ეჩვენათ.

ჩამქრალ კერას შემოსხომოდნენ მოსუცნი, ღრმა გამშეებით მოქრძილებით ეხებოდნენ მას ისე, როგორც ეხებიან მეგობრის გვამს, რომლის სამუდაშო სიკედილის ხილვა-არა სურთ; ამათ უკან უძრავიდ ჩაცუცქულიყვნენ, თვი-თონაც მკედრის მზგავსნი, ამ ხალხის თმა-გაშლილ მეთაურები; ჩვეულებრივ-ჯი თმა თავზე ჭრინდათ შეკრული; ახლა-კი გაეწევნათ ნიშნად ღრმა მწუხარებისა.

ბევრი მათგანი სტიროდა.

მეომრების ლოუებზე ცრემლების დანახვაზე საპრალო კრეკი დალონდა: იგრძნო, რომ დაიღუპა. ოურ ბთლად აკა-კალებული ეძებდა მღვიმეში თავის დედას, რომლის ძუძუთიც იყო გაზრდილი.

მაშინ მაგრამ ცერ გაირჩია ის მონადირეების უკან მდგომ დე-დაკაცების ჯგუფში.

მაშინ მაგრამ ჩასკიდა ხელი ძვის ხელს და თვალები და-ხუჭა.

— ი ბავშვები, — სთქვა უხუცესში.

დედაკაცების ჯგუფიდან გაისმა ორი დედაკაცის შეკავე-ბული ქვითინი.

— ილაპარაკონ, ჩვენ ვუსმენთ, — წაიღუდუნ ერთმა მე-თაურმა, უკელაზე უფროსში უხუცესის შემდევ.

კრეკმა წრფელი გულით უამბო ის, რაც რიუგისთვის უკვე გამბნა და უსნია, რატომ იყო შეკლებელი ღრმა მღვიმეში დაბრუნება. ის სოხოვდა მოხუცებულთ მხედველო-



ଅପରିଚିତ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏବଂ ନାହିଁ ଜୀ-  
ବାର୍ତ୍ତା ଦେଖିଲୁଛୁ ମନୋମୃଦ୍ର ପାଞ୍ଚଟି  
ଦୁଇମିଳିନା ମିଳିବୁଲାଗୁଣାଳୁ.





განცვიფრებულ მტარვაღის და სწრაფიდ დავაძლა უცხუცეს უცხუცეს ფეხთა წინაშე.

— ოქ, მამავ! მამავ! — წიმონიძე მან რაღაც საოცარი წერილი ხმის. ამ ხმამ მთელ კრებას თავზარი დასცა: — უცხლი მოკვდა, მე მოვკალი ის; ღირსიც ვარ სიკვდილისა; მაგრამ თქვენ, თქვენ ხმა იძღვნი სიღდუმლოები იყოთ; თქვენ იყაფით ფო — უცხოელის მეგობარი, პოი, ძვირფასმამავ, თქვენ შევიძლიანთ დაუბრუნოთ ცეცხლს სიცოცხლე. განა თქვენ არ შევიძლიანთ გააკეთოთ ის, რაც გააკეთა ფო — უცხოელმა? მიპასუხეთ, გაფიცებთ!

— უცხოელი ფო? რა უნდა სოქვას ამ ბავშვმა, ან ადამიერი ახსენი ასე უცბად? — წიმიდუდუნა გაკვირვებით დიდებულმა მოხსუცმა, თითოს რაღაც სიზმრებიდან გამორჩეულმა: — მე დამავიწყდა ეგ სახელი.

— ოქ, მამავ! ფო — უცხოელი, რომელიც უკვე იქ არის, სადაც ახლავე მეც წავიალ, უცბად გამიღელვა აავში: მომავანდა, რომ იგი თქვენი მეგობარი იყო და მაშისადამე, თქვენ ცევიძლიანთ გააკეთოთ, რასაც ის აკეთებდა.

— კარგი, და რას აკეთებდა ფო — უცხოელი? — საჩქაროდ ჰერთა უცხუცესმა: — მე არ მესმის რას ნიწინავს შენი უცნაური სიტუაციი? ამისსენი, სოქვა; თქვენ-კი, შეიღებო, დაცუალეთ პატარახანს ამ დამწაშვებს.

ულმობელი მოსამართლეები თავისი სიჩრებით თითქოს დაეთანხმნენ უფროსის მოხსუის თხოვნას.

ბავშვმა მოიკრიბა ძალ ლონე, ხელი გულზე მაგრად მიიღო, თითქოს იმისთვის, რომ შეეყენებინა ძლიერი გულის ძეერა, და დაიწყო თავისი ამბავი:

— ოქ, უცხუცესო, ოქ, ჩემი პატიცეცემულო ბატონი! თქვენ ლაპარაკის ნების მაძლევეთ ახლა, ამისთანა წუთს, მაშნება მომეცით მოგავონოთ, რომ შემთხვევით დაგვიცემულათ ფო — უცხოელის სიღდუმლო, რომელზედაც სრულიად არ მი-

ფიქრიდ ამ დროს განმავლობაში და მხოლოდ ახლა, თქმა-წერა-მუშაობის თონაც არ ვიცი, როგორ მომიტიდა თავში. თუ, მხოლოდ ამ-ლა შეგონდება, რაც მომბო მაშინ ფოშ, როდესაც მასთან კუთხოვრობდი მღვიმეში, ვაწვდიდი წყალს, კუვლიდა ვადა-შემფობის დროს, როგორც ნაბრძანები მქონდა თქვენგან.

— რა გითხრა ფო-უპტოელმა? სთქვი, ჩემი ბიჭუნა; მა-გრამ არავინ-ჯი არ გავიბედოს სიტყვის გაწყვეტინება.

— ერთხელ, თქ უბუცესო,— დაიწყო კრექმა,— როდე-საც მღვიმეში უსაქოდ დაეცხეტებოდი და წვეულებისამებრ ქვებს ვაბრუნებდი ცხოველების დასაქრიად, რომელთაც იქ უყვართ ცხოვრება. ერთ ძალიან მძიმე ქვის ქვეშ, (მე ძლიერ დავძარი იგი ალაგიდან), ვნახე სრულიად ჩემთვის უცნობი რა-ლაც ნივთები. გაკვირვებით შევყვირე. ფო-უპტოელმა გაოგონა ჩემი ყვირილი და, თუმცა გაჭირებით, მაგრამ მაინც მოვიდა ჩემთან: — „ეგ მე მეუკუთნის,“ სთქვა მან, „არასოდეს არ გა-ბედო იმის თქმა, რაც ნახე, თორემ მოგელავ.“ შემდეგ დაუ-შარა: „როდესაც მოვა დრო ჩემი იმ ქვეყნად წასვლისა, ხაი-დანაც აღარ ბრუნდებიან, ამ ნივთებს დაუტოვებ უბუცესს. რომელმაც მე შემიხიზნა და სიყვარულით დამაჯილდოვა. მა-ნამდის-ჯი არაფერი არ უნდა იკოდეს. შენ ჩუმად იყავი, და არ ინანებ!

— ეს რა შესმის? — გააწყვეტინა სიტყვა უბუცესში. — ფო-ს არასოდეს არ უთქვამს ეგ ჩემთვის! მაგრამ განაგრძე...

— თქ, უბუცესო! ფო-უპტოელმა აი კიდევ რა მითხრა: „რადგანაც შენ ნახე ჩემი განძი, ისიც გაიგე რისთვის არის იგი გამოსაღევი! სთქვა ესა, თოლო კაესი ნატეხი და ჩამოქარა ძლიიან მძიმე პატარა შევი ქვა: ქვა ხელში დამაქერინა, რომ გამესინჯა მისი სიმძიმე და მარწმუნებლა, ეს ქვა ერთ-ხელ ციდან ჩამოვარდა ჩემ წინ საშინელის ხმაურობითაც. დაარტყა თუ არა კაეს პატარა მძიმე ქვა, კაეიდან უოვალა-ვი ნაპერწერალი გამოცეივდა. ფო-უპტოელმა გამოყარა ეს



ნაპერჩეულები გამზმარ ხავსხე და დაუწყო ბერვა. ცემაშემდეგ  
ცეცხლის იღი. მიაყარა რამოდენიმე ნაფოტი და ცეცხლი,  
ის ცეცხლი, რომელიც მე მოვყალი, გაცოცხლდა და იწყო  
ცხოვრება. მაგრამ ფო-უცხოელმა მაშინათვე უქნით დასტკე-  
ნა და ისე ჩადგრო...

— ოჟ ქრეა, ხომ არა სტყუი შენ? ან იქნება სიზმარში  
ნახე ეს საოცარი ნივთები.

— არა, მამავ! ამის შემდგომ ფო-უცხოელმა სულ დაბა-  
ლი ხმით დაუმატა, რომ მე შემიძლია ჩემ ნებაზე გავაცოც-  
ხლო და მოვყელა კიდევ ცეცხლიო. და თუ შემთხვევით მო-  
იპარეს, ან დაიკარგა ეს პატარა შევი ქვა, მას მაინც შეუ-  
ძლიან სხვა ლონის-ძიებით დაიმორჩილოს ცეცხლი, და ეს მა-  
შინათვე დამიმტკიცა კიდევაც: მან იმოარჩია იმ ნივთებში;  
რომლებიც მე ვიპოვე, შეუში გახვრეტილი მოკლე მაგარი  
ჯობი; მერე დაჯდა, ჩილდო ჯობი ღებებ ქვეშ და ძალიან და-  
აწეა, ნახვრეტში ჩილდო მეორე ჯობის ერთი ბოლო და სა-  
შინელი სისწრაფით ხელის გულებს შევ დაატრიალა. მალე  
ამ ნახერეტიდან გამოჩნდა ჯერ კვამლი, მერე აღი, რომე-  
ლმაც აანთო ხმელი ხევი... აი, რა შევიტყე მე ფო-უცხოე-  
ლისაგან!

მანამ ბაეშეი ლაპარაჟიმდა, მის მრისხანე მსმენელთა სა-  
ხეებზე სარკესავით სხვა-და-სხვა გამომეტყველება- გინცვი-  
ფრება, აღელვება და დაკვირვება ისახებოდა. უსუცესი საშინ-  
ლად აღელვებული იყო.

ბაეშეი განუმდა; უხუცესმა ერთი ამოისუნთქა და სთქვა:  
თითქოს თავის თავს ელაპარაკებათ:

— ოჟ, ქრეა, ჩემი გული სიხარულითა და იმედით თე-  
სო. ფო-უცხოელი ისე მოკვდა, რომ არ გამიპეტავნა თავის  
საიდუმლო, როგორც შენ გეგონა. მაგრამ, ახლა, შენი სი-  
ტყვების შემდგომ, ჩემ მესივერების უფსკრულში თითქოს სი-  
ნოთლებ შემოაზუქა. ახლა ყველაფერი მესის. წარსული ალ-

სდგა ჩემ გონიერაში. ფოს საიდუმლო, როგორც მიკონის მოწყვეტილობის აკოდენტი ჩემია წინაპრებმა. ჩემ ბავშვობაში უთქვახსოვთ ეს. მე ვიცოდი ეს საიდუმლოებანი, მაგრამ ჩემს დაუქმლურებელ მექსიერებაში გაიფანტა და წუხელის, რამდენსაც არ ვပიღილობდი, არ იქნა ვერ მოვიგონე. ახლა შენი მაღლობელი უნდა ვიყოთ. თუ მართალი სთქი და თუ ჩვენ იმ ვამოქვა ბულში ვიპოვნეთ ის სავნები, რომლებსაც შენ ასახელებ, ჩვენ გადავრჩით. ცეცხლი ხომ ხელ-ახლა გაცოცხლდება მხიარული, აღერხისინი და ისევ გაგვიღიმებს და შეგვინახავს. — შენც ჩვენი მაღლობის იმედი გქონდეს.

— მაღვიმის უფროსნო, — მიუტრუნდა მოხუცი მაღალის ხმით, — გაიგეთ ბავშვების სიტყვები? დანაშაულობასთან ერთად თქვენ შეჯელობა გექნებათ შეუდარებელ საშახურზე, რომელიც კრეიმა გაგვიწიო თავისი საკურიველი აღმოჩენით. ახლავე მოვილაპარაკეთ ამაზე.

— ვგრე იყოს. მართლაც უნდა გავიგოთ, შეუძლიან თუ არა კეთილ საქმეს, დანაშაული შეამტიროს, — სთქვა უხუცესის შემდეგ ყველაზე უფროსმა მოხუცმა. — მაშ ეს ბავშვები რომელმა გაიყვანოს, გარედ უური უგდოს. მოუცალონ იქ ჩვენ უზენაეს გადაწყვეტილებას.

• როდესაც რიუგი, ამ გადაწყვეტილებით ქმიუფილი, ბავშვების გარედ გაყვანას აპირებდა, უხუცესი ხელ-ახლა მიუბრუნდა კრეის და უთხრა:

— ერთხელ მაინც რატომ არა მითხარი-რა ამის შესახებ?

— უხუცესო, — მიუგო კრეიმა. — მაპატიეთ, თუ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ, მე ხომ დაეპირდი არ ვამემხილა. მე არ გვიტეხე სიტყვა, რომელიც ფო-უცხოელს მივეცი. ამას გარდა, მე მევონა, ჩემთ ძეირფასო მასწავლებელო, რომ ეს საიდუმლო თქვენ დიდი ხანია იცით! ამასთან დღეებიც ვაღიოდა, სცვლიდა ერთი-მეორეს და სიშორის ბურუსში ინთქებოდა.

შემდეგ ობაზე ფიქრიც გადამავიწყდა. ახლა უცაპედებულ და მომგონებოდა ფო, ვერაფერსაც ვერ ვიტყოდი და ეს სრუმე სიკედილის პირას მიმიუვანდა.

— რა იქნა ის საგნები, რომლის ხმარებაც გასწავლა ფომ?

— არ ვიცი, ერთხელაც ვეღლი გავტედე მას აქეთ იმ გამოქვაბულში შესვლა, სადაც ისინი ვიპოვნე. აღბად ახლაც იქ არის, თუ ფო-უცხოელმა მაშინვე არ მოსპო.

— კარგი, კრეპ; — მოხუცო მოხუცმა, — კარგი, იმედი გქონდეს. შენც, უსუსორო იურ, მოიწმინდე ცრემლები და იშედიანად იყავი. რაც შეგვხება შენ, რიუგ, შენ ხმა გაკმინდე, ბავშვებს შენ გაბარებ. ხოლო, თუ ლმერთი გწიამს, იმისთანა რჩევას თავი დაანებე, რანთორსაც ახლა აძლევდი. გესმის?

— მესმის და გემორჩილები.

მოხუცი, საშინლად აღლვებული, რის დამალვასაც ტუულად სცდოლობდა, უყურებდა გარედ მიმავალ ბავშვებს.

მანამ ის ფიქრობს, რანთორ სარწმუნო სიტყვებით გამოხატოს თავისი აზრი ნათესავების წინაშე ზევშეების დასაცველად, ნება მომეცი, ჩემი კარგო კორფიკ, დაუმიატო რამდენიმე სიტყვა კრევის ნამბობის დასამტკიცებლად.

ფო-უცხოელის ორი ჯოხის შესხებ, რომლითაც ჩეენ დროშიაც ბევრი ველური სარგებლობს ცეცხლის გასაჩენად, როდესაც კერა ჩაუქრებით, — უნდა ვითხრო, რომ მირთლაც ხის ჯოხების ერთი შეორენშე ხახუნით სითბო ჩინდება. სითბო მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდხანს და ჩქარა უხახუნებ ჰებს ერთმანეთს; ეს მოვლენა ახლა ყველასათვის ცხადია. მე და შენ რომ ხომალდის ასაშენებელი ადგილი ვერნახა ი? დღეს, რა დღესაც გემს პირველად წყალში უშევებდნენ, და ხომალდის ფსკერისათვის გვეცეირა, როდესაც იგი მისცურავდა გამაგრებულ ფიცრებზე, მაშინ შენ თეითონ დარწმუნდე-

ბოლი ამაში. დიდ ხანს რომ ეცუტა ასე და ზომები არ ჩაშესძლოთ, მაგალითად, წყალი არ ესხათ ფიცრებზე, წუმწუმას-ვით ანთებოდა. თუმცა ფიცრებს ასკელებდნენ, მაგრამ მაინც კვამლი სქლად ამოდიოდა. ფსკერის ფიცრებზე ხახუნი-კი სულ რამდენიმე წაშს გრძელდება.

მოიგონე კიდევ ცხელ ქვეყნების უშველებელ ტყეებში გაჩენილი ცეცხლი.—ცეცხლის გაჩენის უმთავრესი შინები უცებ ანთებული ხმელი ტოტებია. იქ ტოტები დიდხანს ეხახუნება ერთმანეთს ხანგრძლივი, დაუწყნარებელი დიდი ქარის გამო.

იმ დროს როდესაც-კი ფო და კრეიი სცხოვრობდნენ, მხოლოდ გამოცდილ კაცს შეეძლო ხელოვნურად ხმელ და რბილ ხის მაგარ ხეზე ხახუნით ცეცხლი გამოეწვია და ეს ხელობა მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცდა; ეს რამდენი-მე კაცი კი დიდის სიფრთხილით შალავდა ამ ძეირუასს საი-დუმლოს, იმიტომ რომ, ვინც ეს იცდა, დიდი გავლენით სარგებლობდა თავის უვიც თანამედროვეთა შორის.

ფო-უცხოელი ოლბად დიდხანს მილავდა თავის ცოდნას, რომ როდისმე, როდესაც უფრო დიდი საკიროება მოითხოვდა, ბრწყინვალედ დაემტკიცებინა თავისი ძლიერება იმათთევის, ეინც იგი შეიკედლა; მაგრამ ამისთანა შემთხვევა არ დადგა მღვიმეში, სადაც ცეცხლს მუდამ სდარაჯობდნენ და დაც და ლამ ენთო. სიკედილმა მოუსწრო და ვერ მოასწრო საიდუმ-ლო თავის მეგობარ უხუცესისათვის გამოემდევნებინა და თან ჩაიტანდა საფლავში, რომ კრეის—ბუდეების დამშლელს, შემ-თხევეით არ ეპოვნა ის ქვა გამოქვაბულში.

რაც შეეხება ფოს მეორე საიდუმლოს, ე. ი. შავ მძიმე ქვას, რომლის კაფზე ჩამოკვრით ნაპერწკლები ჩნდებოდა, ადგილად შესაძლებელია, რომ ფოს იმ დროში სრულიად უც-ნობი, ლითონის ნაპერი ეჭირა ხელში,—მე ვამბობ რეინის შესახებ; ნამდეილი რეინის ნაპერი, სწორედ ციდან ჩამოვა-



რდნილი, როგორც თვითონ ამტეიცებდა, რადგან შესრულებული ბეჭია ეს მეტეორიტი ყოფილიყო, აეროლიტისა, ან რომელიმე მომწყდარ ვარსკვლავის ანასხლებული.

ამნაირ ჩეინის ნატეხებს პოულობდნენ ყოველთვის და ჟველგან დედამიწის ზურგზე, და ის ახლაც, სულ ცოტა ხანში, 1870 წელს, ამისთანა ჩეინის ნაკრები აუარებელი იპოვნეს გრენლანდიაში.

აღმად ფომ შენიშნა, როდესაც ამ მძიმე ქვის ჩაქუჩის მაგივრად ხმარობდა მიხეილი კაეის გამოსაწავნიად, რომ ამ მძიმე ჩაქუჩის კაეზე დარტყმით უფრო გრძელი და ღია ფერის ნაპერწყალი ჩნდებოდა, ვიდრე ქვაზე ქვის დარტყმის დროს. ამ დიდრონ ნაპერწყლების დანახვაზე ფოს აზრად მოუვიდა ესაჩვებლა იმით ხმელ ფოთლებისა და ხაესის ასანთებად.

თუმცა ეს უძველეს დროის კვესი მარტივი და შეუმუშავებელი იყო, მაგრამ დიდ ფას-დაუდებელ განძს წარმოადგენდა უძველეს დროის ხალხისთვის.

ეს კვესი მთელ ტომისთვის, რომელმაც მისი ხმარება იცოდა, გაუქრობელ კერად უნდა გადაქცეულიყო. სიდაც და რა დროსაც დასკირდებოდათ აანთებდნენ და გააქრობდნენ. ასე რომ შეიძლებოდა იმის გადატან-გაღმოტანა.

უხუცესს იძედი ჰქონდა, რომ აღტაცებაში მოიყვანდა: თავის შეიღებს ამ ძეირფის კვესის საშუალებით და როდესაც ისინი განცვიფრებულნი სიხარულს მიეცემოდნენ განახლებულ ცეცხლის დანახვაზე, ამ თრ პაწია დამნაშავესთვის შეწყალების მოითხოვდა.

იმ დროს, როდესაც უხუცესი თავის შეიღებით აოვალიცრებდნენ გამოქვაბულს და ფო-უცხოელის განძს ეძებდნენ,—დამნაშავენი განაჩენის მოლოდინში იყვნენ. კლდეზე ისხდნენ განუმებულნი, შეწუხებულნი, დახუჭულის თვალებით.

განუმებული რიუგი თვალ-ყურს აღევნებდა იმათვის მატერიალური დიდი ყურები—სწორედ უცნაურია—იმის მაგიკად, რომ უმოძრაოდ ყოფილიყო, როგორც ჩენა გვაქვს, უცებ მოუსვენრად იწყებდა მოძრაობას.

უხუცესთა თათბირი დიდიანს გაგრძელდა.

ბოლოს მღვიმედან გამოვიდა უხუცესი და გასწია ბავშვებისაკენ. მაგრამ მისი დანაოცებული სახე მოღრუბლული იყო.

რიუგის უსიტყვო შეკითხეაზე, რომელიც მის აღშოროთვულ სახეზე ამოიკითხა, მოხუცმა უპისუხა:

— ცეცხლი ხელ-ახლა ანთია! ოურს შეუძლიან დაბრუნდეს საღვამში, მის აპატიეს, რადგანაც ის ჯერ ბავშვია: ჯერ დედა სჭირდება კიდევ.

— გმადლობთ!—მხიარულიდ წარმოსთქვა პატარა ოურმ; მაგრამ მაშინათვე სისოწარკეთილებით დაატანა:

— ისა, უხუცესო? იმის რაღა მოელის?

ამ მწუხარე სიტყვებით მიუბრუნდა კრექს ოურ და ილერსიანად გადაუსვა ხელი მხრებზე.

— კრექს სიცოცხლე აჩვექს. ცოცხალი დარჩება მაგრამ უფროსებმა შემდეგი შეურყეველი განაიტანეს: ვინც ერთხელ უღალატა თავის მოვალეობას იმ ხანში, როდესაც მსჯელობა უკვე შეუძლიან, ის შემდეგაც ხელ-ახლა შესცდება! ჩენი ტოში აღარ ენდობა და არც უნდა ენდოს კრექს; ამისათვის კრექი უნდა განდევნილ იქნას თავის ტომისაგან: უნდა წაეიდეს აქედან.

— ვაიმე!—ამოითხრა რიუგმა.

— დანუმდი, რიუგ! მამებმა სთქეეს კიდევ, რომ კრექმა წაიღოს იარაღი, ტანისამოსი და სანოვაგე; დალამებამდის უნდა წავიდეს აქედან შორს, ტყეში—იქით მხარეს, საიდანაც მზე ამოღის.. მოძებნოს ახალი ოჯახი: ამისი ნება აქვს მიმინიჭებული.



მოხუცის სიტყვა შესწუვიტა კრექის გულსა ელაქტშე შესტებულის  
საშ. მოხუცმა პირი იქით მიიბრუნა, მაგრამ შემდეგ ისევ გა-  
ნაგრძო:

— ჰელის და შენ, რიუგ, დავალებული გაქვსთ განდევ-  
ნილს გზა უჩვენოთ სხვა ტოშის ხალხისა ექნ წასასვლელად;  
არავის არა სურს, რომ ტყეში გზა დაებნას, ან რომელიმე  
ნადირის მსხვერპლი გახდეს. ხვალ გარიფრავზე ჰელი და შენ,  
რიუგ, მღვიმეში უნდა დაბრუნდეთ.

— ოჲ, მასწავლებელო! ეს საშინელებაა! — წაილულლულა  
რიუგმა: — კრექი ისე ხალვაზრდაა! ...

— განუმდი, დიდ-ყურა რიუგი! ვინ მოგცა იმდენი გამ-  
ბედაობა, რომ შენი უმუროსების გადაწყვეტილებას იწუნებ?  
თვით კრექის დედამაც-კი ვერ გაძედა ჩვენი კრეპის განაჩე-  
ნის წინააღმდეგ ხმის იმოლება. გაჩუმდი, მონავ, და ახლავე  
გასწი შენ მშრანებლებთან. გელოდებიან, რომ უკანასკნელი  
დარიგება მოგცენ. შენც გაძყე, ოჲო. აბა, ჩქარა! გასწით!

სანამ მოხუცი ისე მკაცრიდ ელაპარაკებოდა, თავ-ჩაქინ-  
დრული რიუგი მიდიოდა გაჩუმებული, და ზღაზვნით და ბო-  
რისკით მისდევდა ოჲო რომელიც ვერაფერს ხედავდა, რად-  
განაც თვალები ცრემლებით ჰქონდა სივსე.

— ოჲ, მასწავლებელო! ძვირფასო, საყვარელო და პატივ-  
ცემულო მასწავლებელო! — შეპყვირა კრექმა, როდესაც ისი-  
ნი წავიდნენ: — ოჲ, უხუცესო! ნუ თუ მეტად ველარ გნახავ?  
ვერასოდეს ვერ გნახავ?

— ვერასოდეს, კრექ, ვერასოდეს! მაგრამ არ დაივიწყო  
ჩემი გაკვეთილები და დარიგებანი, თუ როდესმე მინც გყვა-  
რებივარ. შენ ჩემთვის ძვირფასი იყავი ყოველთვის და მეც  
არაფერს ვზოგავდი, რომ გულახლილი, მარჯვე, ფრთხილი და  
მიხვედრილი ბავშვი გამოსულიყავი, რომელიც მეღვრად, გულ-  
მაგრად შეხვდებოდა ყოველნაირ გაქირებას ცხოვრებაში. კმარა  
ტირილი! იტანე უბედურება, როგორც ჭრილობა, ყოჩალად.

მამაკაცის არ შეშვენის ტირილი. მშეიღობით! მე უცელა უწყვეტი გათხარი.

კრეიი დაეკონია მოხუცის ხელს, რომელიც მან გაუწოდა, აკაცა მოწიწებით და გაუშევი.

როდესაც თავი მალოა იღო, მოხუცი იქ იღია იყო.

აქ-ეი საკოდაიყი კრეიი, მიუხედავად მეგობრის უკანასკნელი დარიგებისა, დაემხო ქვებზე და მწარე ცრემლით იქვითინდა. ტირილა და ფიქრობდა დედაზე, ძმებზე და პატარა დებზე—მაბზე და ონზე, რომელნიც სამუდამოდ უნდა მოეტოვებინა.

მარიამ იაშვილი.

(შემდეგი იქნება).





## სტეფანეს შვილი.

(დასასრული).



ა მშაერა? რათა ხმაურობს ქალაქი ამ დოლა-ადრიან?

საით მიეჩქარება ამდენი მუშა ხალხი, ან ამდენი სუფთად ჩატყმული მოქალაქე? რად ირევა ქუჩებში ამდენი ეტლები და ფრმები? ისე ირევიან, ისეთი სისწრაფეთ იძვრიან, რომ კაცის უჭირს ქუჩის ერთ ნაპირიდან შეორენ्हე გადასვლა. განიერი ქუჩები სავსეა ხალხით, საშინელი ხმაურობაა, ყურთა სმენა არ არის, ქუჩებში ფაცი-ფუცია. ყველა სადღაც მიეშურება, გარბის, თითქო უკან მისდევს ვინმეო. ეს მოძრაობა და ხმაურობა ხაზ კაცის გააშრერებს, დაიბნევა და მგზავრებს ფეხებში აებლანდება. ვინ უჩვენებს გზას? ვინ დაარიგებს?

ერთი სათია, რაც ფრანგეები ქალაქში მოეიდა და

ასე ჰქონდა, თითქოს თავის სიცოცხლე აქ გაეტარებინდეს და მოძრაობამ თავ-ბრუ და-ახვია.

შენი ჭირიმე, ღმერთო, იგიც ქრისტე, ლეთის-მშობელო, რა ყოფილი ეს ქალაქი! საინ წავიდე და რა საქმეს მოვეიდო ხელი? გაიარა კოდევ ერთმა საათმა და ფრანეკი უკვე მისდევ-და უკან ერთ იხალგაზღას, რომელსაც ტანისამოსი საღებავ-ში ჰქონდა მოსერილი. ეს იყო მღებავი. იმან თვალი შეა-სწრო სოფლის ბიჭს, რომელიც დაბნეული იდგა ერთ კუთ-ხეში და ტირილს პირებრა. შეებრალი და წილებანა სამუშაო-ოზე. მას მოაგონდა თავისი პირებლი ქალაქში ჩამოსელი გაახსენდა მაშინდელი თავისი გაჭირება, შეებრალი სოფლე-ლი და სამუშაოდ წაიყვანა. ილბალზე სწორედ მუშაც სჭი-რდებოდა, ნირდი ჰქონდა გახათავებელი.

ფრანეკმა მღებავის რჩევით და ჩვენებით იბედ ეკლესიის კიბეს ქვეშ ამოსდო, გაიძრო ტყაპუჟი და მუშაობა დაიწყო.

შარტო დილით არა ხმაურობს ქალაქი; საღამოთი მოძრაობაშია. მხოლოდ იხლა მზის მავრებად მას ანათებს ათას-ნიორი ხელოვნური სანათი. არც ღამე სცხრება ქალაქი. მოელი ღამე ხმაურობს. ირიერიებს და ხელ-იხლა ამოვარდება მაღალ<sup>1</sup> ბუბრებში შეი კვამლი, ამმაურდება ქარხნები, გაიმის თრთქლ-მაღლების წივილ-კივილი და ალვინებს ტკბილი ჩაძინებულ მცხოვრებლებს. დილით ქუჩები მუშა ხალხით იყსება. ლურჯ ხალათიანების ბრძოები ზღვასაეით ჰდელიავენ. აქ ყველა წლოვანების კაცს შეხვდებით წელში მოღუნულ და გულ-ჩათხრობილ მოხუცებულებს, უდარდელ, მოცინარ იხალგაზღებს. განაპირა უბნებიდან მიეშურებიან ქალაქის ქუჩებზე და ყველ მხარეს იფან ტებიან. გარევნული შესახედაობით ყველა ერთმანეთს წააგავს და ყველანი ერთად წარმოადგენენ დაუშრეტელ მდინარეს კოცხალ აღმიანები-სას. მათ შორის ვერ ნახავთ პირ-დალებულ, გაუწერონელ

და მოუწეး სოფლელს. აბა და კურდით, იქნება შეტყუდული რის ჩეენი ნაცნობი ფრანგეები დაინახოთ!

დიდ, ფრანგეები აქ არის. მაგრავ ის ახლა სოფლელი ტეტია იღია გახლავთ; ის ახლა საქმეში ჩამდგარი მღებავია; მხარზე ჰერი წამლებით და საზღვროთი სავსე კედრო, ტანზე ხალათი აცვია; როგორც უკელა მუშებს. საღებავში აქვს მოსერილი ხელები და ქუდი.

სამი თვეა, რაც ფრანგეები ქალაქზია. ისე შეეჩინა ქალაქის ხმაურობას და მოძრაობას, თითქოს აქ იყოს დაბადებული. უშიშრად აღის კელესიების მაღალ სამრეკლოებზე, სახურავებზე მამაკურად იქნევს თავის ჩითქს. ფრანგეები დღიურიდა მუშობს; უკირავს ერთ სარდაფში პატარა კუთხე, სადაც მხოლოდ სიწოლი ტახტია მოთავსებული. ფრანგეები წევრია მღებავთა ამხანაგობისა. საღამოთი ხშირად დიდ-ხანს საუბრობენ ხოლმე ისა და მისი მეზობელი, — ისიც მუშაა. ფრანგებს უკარს სოფელზე ლაპარავი: ოცნებობს სახლში დაბრუნებაზე, როცა ხუთ თუმანს მოაგროვებს. ამ უკელით ის ძრობის ყიდვისა და სახლის შეკეთებას აპირებს. ხშირად ამ ლაპარავში ჩაეძინება ხოლმე.

დადგა ზამთარი და მღებავებს სამუშაო გამოელიათ. ბევრნი სახლში წავიდნენ მეორე გაზაფხულამდის.

ფრანგებს სახლში წასვლა არ მოუხდა. ისა და მისი მეგობარი ავეჯის მაღაზიაში დაიჭირავეს ავეჯის მღებავებად.

ფრანგებს ხშირად მუშტრებში სიარულიც უხდებოდა. ყველგან თითო-ოროლი გროშს აჩეკებდნენ ხოლმე. თავ-დაკერილი მუშა გროშს-გროშზე აღებდა და ქისაში ინახავდა. ძუნწივით დაპხაროდა ის თავის გროშებს. ხშირად მიიწვევდნენ ხოლმე ამხანაგები თეატრში, რესტორანში თითო ჭიქა ლუდის დასალევად, მაგრამ ფრანგები ყოველთვის უარს ამბობდა ასეთ გართობაზე.

— არა უშევს, — იტყოდა ხოლმე ფრანგეები თავის

გულში, როცა ამხანავები დასკინოდნენ და ძუნწს ეძინდნენ უკრავითა და დამცინონ. დევ ძუნწი დამიძიხონ. მაგათ არავის სოფელში სახლ-კარი არა აქვთ და მშობლები არ მოელინან.

ფრანეკი გადასცენდებოდა თავისი მოხუცებული მამა და ლერმილი სახით, მუშაობისაგან დაბებრებული, ზეყ-ზეყ დახეთქილი ხელები.

— ჩემი საქმე სულ სხვა არის, — გადასწყვიტა ბავშვმა, — მე აქ უცხო ვარ და სამუდამოდ აქ არ დაერჩიები.

გაზაფხულზე მღებავებმა სახელოსნოებს თავი დააწერდა და ფრანეკმა ისევ ხარაჩიებზე დაიწყო მუშაობა: ლებავდა სხვა-და-სხვა შენობებს, იქნევდა თავის ჩოთქს და თან თავის ფიქრებსა ფიქრობდა. რა კარგია იხლა სოფელი ფოთლით შემოსილი ტყეებითა და აწვანებული მინდვრებით! წარმოადგებოდა თვალ-წინ გუთანი, სახნავი, თითქოს იხლად გადაბრუნებულ ბელტების სუნსაც-კი იგრძნობდა ხოლმე. აჯ, როდის მელირსება მოვჰორდე იქაურობას! როდის ველირსები იმ სანატრელ დღეს, რომ ქარხნების ჭვერტლიან ბუხრების მაგივრად — სოფელში შეეყურებდე მოწმენდილ ცას და ბრწყინვალე მზეს!

გაიარა მეორე ზაფხულშეც. ფრანეკმა მოიმხიარულა: თუ ამ ზამთარისაც იშოენა საქმე, გაზაფხულზე შესძლებს სოფელში წასელოს. ძველმა მევობარმა კიდევ უშოვნა საქმე, იხლა მეექსტესთან. პლებავლენ ვედროებს, აბანოს ტაშტებს და სხვას, რაც-კი მეექსტების სახელოსნოში მზადდებოდა.

მიიწურა ზამთარი, დაპატი თბილმა ქარმა და სპეტავი თოვლით დატარულ მინდვრებს უერი უცვალა. სახურავებზე თოვლმა დაიწყო დნობა. პატარი არხები და ნაკადულები ახმაურილნენ. მღებავებსაც გულმა შემოტლილია. ფრანეკი ხარბადა სუნთქვავდა გაზაფხულის პარტსა და გული სიამოვნებით ევსებოდა.

— გაზაფხული; გაზაფხულიო, — გაიძახოდა გახარებული.



ფრანგების ქონებამ ამ დროისთვის შესამჩნევა უნდა იყოს მას ამგაში ეწყო სამი წალა, ძველ პერანგში გამოხვეული: ერთი ძველი, წითელ-ყელიანი, ორი-ერთი ახლო გამრიალებული, მაგარი ტყიერი და მეციდრი ძირებით. დიალ, ფრანგების ახლა შეეძლო სახლში წისვლაზე ეფუქრა. ქისაში ხუთ თუმანს სულ რამდენიმე კაპეიკი აკლდა.

გაზაფხულის ქარი დატრიალობს მინდვრებზე, შარაზე ტელეგრაფის მავთულებს აზუზუნებს. ეგერ ზარაზე მგზავრიც გამოჩნდა. კინ არის ესა? ოჯ, შენა, ფრანგე? გამარჯობა შენი! სიოთ მიეჩარები, ძველო ნაცნობო! ელაპარაკება მგზავრს და ლოყებზე ელამუნება.

— თავი გამანებე, — გაჯაერებული ბუტბუტებს ფრანგები თავისთვის, პირს არიდებს ქარსა, ყურებზე ჭუდს იჩიხას და შტერცე ნაბიჯით მიაბიჯებს: — ტყუილ-უბრალოდ ნუ მაბრუკლებ, შენთვის არა მცალიან, შე ქარით შუტა!

უჯ, რა ცუდი ქარია! თუ ყოჩილად არ მოვიქეცი, ჭუდს მომტაცებს! შერე პირ-ქარია და მუხლისა მერის მაგრამ ტყუილადა ცდილობს: მე უქსეს არ შევაჩერებ. პატარა ნაბიჯით ვიკლი და არ გავჩერდები. ყოველი ნაბიჯი გზას მოკლებს და ჩემ საშშობლოს მახლოევებს. დადექი, ქარო! შენ ფრანგეს ვერ შეაფერხებ. იგი სამუშაოდან სახლში მიდის, ქისაში ოქროები უწერიალებს და ამგაში ახალი წილები უწყვია.

იმ, მგზავრმა შორს გადაუხვია და გორას მოუხლოვდა. გორიდან მისი სოფელი სჩანს. სიჩბილით ჩაირბინა მოკლე ბილიკზე გზის მოსაქრელიდ! ქარი ყურში ჩაპზუზუნებს ფრანგებს: ფრანგე, ფრანგ! სალომს აძლევს ახლად ფოთლით შემოსილი ნაცნობი ბუჩქნარი. მაგრამ ფრანგეს შათოვის არა სცალიან: ის სახლისაკენ მიეჩარება. პატრიში რაღაც დიდი ფრინველები დაფრინავენ!

— წეროები, ყარყარი! ეს ქარგი ნიშანია! ფრანგეი ჭუდს იხდის და ყვირის:

— საღამო მშვიდობისათ, წეროებო! კარგი ამბავია? მრავალი და უკასუქებელი ყარყარები და დინჯად დაუცრავენ ცაში. საღამოს სხივები ფრინველებს ოქონს ფერსა სცემს.

ნერა ვინ არის ეს ახალგაზდა, შეა სოფელზე რომ მოდის და ცველის საღამშ აძლევს?

— გამარჯობა, იაცევიჩ! საღამო მშვიდობისათ, ძალუა ნენე!

ნენე გაკვირვებული შემყურებს მგზავრსა. ღმერთო; მალო, ნუ თუ ეს ფრანგეიია, პატარა მწყემსი, სტეფანეს შეილი?

მოხუცი იაცევიჩი მგზავრს უახლოვდება; მასთან სხვებიც არიან. ყველა რაღაცა ცნობის მოყვარეობით შემყურებს ფრანგეს; თითქოს სურა იმის სახეზე რაღაცა ამოიკითხონ. ფრანგეე მხიარულად მიდის.

რწმუნდებიან, რომ მან არაფერი იცის, და სინანული იღებიძებს მათ გულში: „საწყალი ბიჭი!“ გაისმის აქეთ-იქიდან. ფრანგე არ მოელოდა, თუ მას სახლში კერა გაციებული დახედებოდა, თუ კიბეზე პატარა და-მშებრ არ გამოვევებებოდნენ, თუ დედა არ ჩაიკრავდა გულში თავის დაკარგულ შეილს.

ეზო, კარი დაკეტილია, ფანჯრები მოხურული, კარებები აფიციული. რა ამბავია? რატომ არბეინ გამოევება?

— ღონე მოიკრივე, შეილო, და მომისმინე, — ეუბნება მას მოხუცი იაცევიჩი. — ახლა-კი მიხვდა ფრანგე, რომ რაღაცა ცუდი ამბავი დატრიალებულა მის სახლში, მაგრამ სახელ-დობრ რა—ჯერ არ იცის.

მგზავრი, თავ-შეკავებული, მტკიცე ხმით ეკითხება:

მეზობლებო, სად არის მამაჩემი?

ამ სიტყვებზე მოხუცი იაცევიჩი ჭუდს იხდის.

— მე და სტეფანე სიყრმით მეგობრები ვიყავით, — ღმერ-



თამ აქხონოსი — მოხუცი პირჯვარის ისახავს. ამისვე გადაღარებული ნარჩენები იმეორებენ.

ფრანგებს თვალთ უბნელდება, მაგრამ თავს ძალას ატანს და კოსტუმობს:

— დედა და ბავშვები როგორდა არიან?

— კარგად, ღვთის წყალობით! — უპასუხებს ნენე და თვალებზე ცრემლებს იწმენდავს. გაიანე ბავშვებით თავის დასთან გადასახლდა საცხოვრებლად.

— მაღლობა ღმერთს! — ამოსუდი გულიდან უმაწვილს და კალევ ასალისიც თქმა უნდოდა, მაგრამ ძალუა ნენემ სიტყვა გააწყეტინა:

— ფრანგე! მე დავესწარი მამაშენის უკანასკნელ წამებს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო — ფრანგე და იმპერატორ, მაგრამ სად მოგნაბავდით შორეულ ქალაქში?

— გმადლობთ, ჩემო კეთილო მეზობლებო! — ყმაწვილმა თავი დაუკრა და სახლისაკენ წავიდა.

აეიდა კიბეზე, კირებს უკირები ააგლიჯა და სახლში შეეიდა. დიდი მუხის მაგიდა ძეველებურად კუთხეში იდგა. ტახტა და ვრძელ სქამებთან საფენი ალაგებული იყო; ოთახში ცილიდა.

— არა უშევს-რა! — წილულლუდა ფრანგექმა და ყელში მომდგარი ცრემლები ჩაყლობა. — ფიქრი არ არის... — ამ სიტყვებთან ის ისევ გარედ გამოვიდა. მოხუცი იაცვინი ეზოში უပდიდა; დანარჩენი ხალხი ჭუჩაში იდგა.

მოხუცმა შეხედა ყმაწვილს თვალებში და უთხრა:

— შვილო, ფრანგე! ახლა საჭიროა სასაფლაოზე წაეიდეთ პამი-შენის საფლავი ნახე. მე გამოგყვები და გაჩვენებ.

შევიდნენ სასაფლაოზე. ფრანგექმა დაიწოქა მამის საფლავზე. პირჯვარი გადიწერა, მერე დაემხო და რამდენიმე ხანს ასე იყო პირქვე-დამზობილი.

— მამა, ჩემო ძეირფასო მამილო! — ჩურჩულებდა ფრანგ-



კი, რომ მოხუცს არ გვეგონა მისი სიტყვები.—რად დაუკრისავთ ბლე? რად გაუძერი სანთელი შენ საუკირქლ ოჯახს? მშეი-დობით, მამილო! ვეცდები ლირსეული შეილი ვიყო შენი.

ამ სიტყვებით ფრანგები წამოდგა და ხახლისაკენ გამო-წია. რამდენიმე ხანს ჩუმად მოდიოდნენ. მოხუცმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— მითხარი, შეილო, იხლა რასა პფიქტობი! როგორ აპი-რობ ცხოვრებას?

— ამალებ თქვენსა გავითევ, თუ ნებას მომცემთ, და ხეალა აღრიანად წავალ აქედან.

— სიით აპირობ წასელას?—დაეკითხა მოხუცი.

— დედისთან,—წარმოსთქვა ფრანგები:—მოვიყვან სახლში დედისა და პატარა და-ძმებს. დროს დაკარგვა არ ივარგებს. სახლი დაიკუვა, თუ დროზე არ მოვეპატრონებთ. მუშაობის დროც არის. თქვენ თეითონაც კარგად მოგეხსენებათ, რომ მიწას მუშა ხელი უნდა.

### 8. კლიმიაშეილი.





## შიგნის ფურცლის

ამგავი.



არიებს „სიმფლობელოში,“ ე. ი.  
იშის საბავშვო ოთახში დილი ხმაუ-  
რობა და მხიარულება იყო. იატა-  
ზე მობნეული სათამაშოები კარგ  
გუნებაზე იყვნენ და რაც შეეძლოთ  
ცდილობდნენ მარიკოს სიმოვნებას.

ბზრიალი ისე სასაცილოდ ბზრიალებდა, რომ წამ-და-უწუმ  
ეჯახებოდა ხან ერთ, ხან მეორე სათამაშოს და ყოველის  
მხრიდან იმოდა იმათი ყეირილი: „უზრდელი,“ „საბაველი“  
და სხ., მაგრამ ბზრიალი არავის ყურადღებას არ აქცევდა, გა-  
ნაგრძობდა თავის საქმეს და თანაც თავის გამოთქმულ ლექსს  
დალილინებდა:

„ბზრიალი ბზუის, ელარუნებს, ხტის, ხტის, ტრიალ-ბზრი-  
ალებს, ხმაურ-ბაკუნობს; ტკაც-ტკაცით გან-გან გარბის და  
გარბის, უცებ ეცება!..“

უკანის ქნელი სიტყვის წირმოთქმა და ყველის გულის  
გასახარებლიდ ბზრიალის ძირს დაცემა ერთი იყო. „ადგა—  
ბიჭი“ სისაცილო ჩხევით, როგორც შექვერის ზრდილობიან

სათამაშოს, ეკითხებოდა თავის მეზობელ სატკაცუნას, ჰქონდა გამოსახული. გემი ქშინავდა. ბურთი ხტუნიობდა; ერთი სიტყვით — ყველა ურილობდა და მარტივიცენია მარი კოსტევის, მაგრა ერგად მოიქცა, რომ ჩვენ გვიყიდათ.

მარტო ეძის ნაჩუქარი წიგნი იდვა წყნარიდ შიგიდაზე და არაეთიარ მონაწილეობას არ იღებდა საზოგადო შეიარულებაში. მარიკომ მიიჩნია, გადაშალა წიგნი და პეითხა:

— აბა, ჩემო საყვარელო, შენ რამის მეტყველი, რით განართობ?

წიგნის ფურცლიმა, რომელსაც მარიკო დასკეროდა, მიუფლო:

— ცელქობა არ შემიძლია და არც მიმაჩნია სასიამოვნოდ. შეც შემიძლია გადამხიარულო, შოლოდ იმგვარად არა, როგორც შენი სათამაშოები გვითხვენენ. თუ გსურს, გიამბობ ჩემი ცხოვრების ამბავს: ბევრი რამ გადამხედია თავს.

— ოჟ, არ მიყვარს ეს დარბაისლური საუბარი, — დაიკრუხენა სატკაცუნა.

სატკაცუნა ყველას სულელსა და თავებარიელს ეძახდა.

მაგრამ მარიკომ დაუტარინა მას, შეიარულად შემოჰკრა ტაში და შეცყვირა:

— მიამბე, მიამბე! დიდი სიამოვნებით მოვისმენ შენ თავგადასავალს.

— ახლა მე ჭკვიანი, კარგი, სასარგებლო წიგნის ფურცელი ვარ, — დაიწყო წიგნის ფურცლიმა, — მაგრამ, სანამ ამნაირი გავხდებოდი, ბევრი უბედურება დამატება თავს, ბევრი რამ გამოვცადე ჩემ სიცოცხლეში. არც ისე ადვილი იყო ჩემთვის ჭუპებიდან ფულუნებაში გადასკუპება.

— ფუი! ამისთანა ლაპარაკი იმსას შეუძლია, ვანც თავის თავს პატივს არა სცემს! — სთქვა სატკაცუნამ.

სატკაცუნა ამაყობდა, რომ იმ ქალალზე, რომლისაგანაც იყო გაკეთებული, ვიღაც დიდებული გენერლის დღიური ეწერა.



— მხოლოდ ბრიყვებს სცხვენიათ თაეგანთ წინა და მდგრად გადამარტივებულია — მაყალი მიუვა წიგნის ფურცელში, — მე ბექრი უბედურება გამომიტოდი და გაძეობ ამით.

ფურცელში თაემომწონედ მიმოსხედა ირგვლივ და განაგრძო:

— დიალ, ოდესაც კუკჟიანი მჩვარი გამლით და ორმში ნაგავსა და ხარახურაში ვერაც. იმას-ეს ვერ ვიტყვი, რომ სისიამოვნო ყოფილიყოს ჩემთვის იქ ვდება.

— რასა ვეკირებულია, — ჩაურთო სიტყვა ბზრიალი?

— საბედნიეროდ დიდხანს არ დავრჩენილვარ იქ. ერთხელ მაიცდა ორმოს დაგლეჯილ ტანისამოსიანი ბიქი; ხელში რკინის ჩანგლიანი ჯოში ეჭირა. დიდხანს ურევდა ნაგავს; ამ ჩანგლით დაეძებდა ყველაფერს, ასც საჭირო იყო მისთვის: ჩერებს, ლურსმნებს, გატებილ ნალებს, დაგლეჯილ ფეხს— მელებს, ძვლებს და სხვ.

„მე ხომ არ მეძებს, მეთქი, — გავითვიქრე. იმ დროს უცებ მტაცა ხელი, ამომათრია ორმოდიან და ტომარაში ჩამიძიხა. მეორე დღეს ქალალდის ქარხანაში ამოცავი თავი.

იქ ერთ დიდ ოთახში ყუთებთან იდგნენ მუშა დედა კაცები და არჩევდნენ სხვა-და-სხვა ხარისხის მჩვრებს. საშინელი მტკვრი იღვა! მუშა დედა კაცებს მოსახვევით ხეხვით ცხვირპირი. წარბები და წამწამები-ეკი ვათეთრებული ჰქონდათ მტკრისაგან.

— საწყლები! — დაიქმინა გევვია: — სჩინს იაფად არ უადებათ ლურმა პურის შოვნა.

— ყუთ ბი-ეკი, — განაგრძო წიგნის ფურცელში, — დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. ყოველ ჩვარს მუშა დედა კაცები, ათვალიერებენ, რა ლირსებისა არის, და აწყობენ სხვა-და-სხვა განყოფილებაში.

იქვე გვერდით მეორე ოთახია, სადაც ჩერებს აქუცმაცებენ და სცრიან. აცლიან თუ შეჭყვა სალილე, ლილები, დუღმები.

— სიტყვის ბანზე ნუ იგდებ! — შეჭყვისა ბზრიალი, — ის გვიამბე. შენ რა დაგემართა.



— ჩემი ფიქრით, რაც გიამშეთ, ცველაფერი საჭიროდ  
დებო იყო,— საყედეურით წარმოსთქა წიგნის ფურცლმა,  
— თუ არა გსურთ მოისმინოთ, დატერმდები.

— გვიამშე: გვიამშე! ძალიან საგულისხმო ამბავია,— შე-  
ჰყვირა მარიკომ.

— გვითხორი შენი ამბავი,— მხარი მისცეს მარიკოს სათა-  
მაშებმაც.

— უაცრავად ვარ, გენაცვალე, მაგრამ ის-ეი არ გით-  
ქვამს, თუ როგორ სკრიან შევრებს,— უთხრა მარიკომ.

— დიდის სიმოვნებით აგიხსნით. მჩერების დახაჭრელად  
ვამართულია მაგიდები. ამ მაგიდებს დანები იქნა შუაზე ვამა-  
გრებული, და ამ დანების საშვალებით მუშა დედაკაცები  
სკრიან შევრებს. დიდ ქარხნებში-ეი მისიათვის მანქანის ხმა-  
რობენ, რომელსაც მჩერის მკრელი მქვიან ამ მანქანის ბორ-  
ბოლზე გამაგრებულია მჩერის მკრელი დანები. დაჭრილ

მჩერებს, ცველას,— განაგრძო თავის ამ-  
ბავი ფურცლმა,— ჰყურინ დიდ მანქა-  
ნაში. დიდ მანქანის-ეი შიგნით კბილე-  
ბინი ბორბალი იქნა მომართული; ძირს  
გაეკეთებული იქნა საცერი და მაღლა— მი-  
ლი. ამ მანქანაში მჩერები მშვენიერად  
იბერტყება; რაც ნავავი აქნა, სიცერზი  
იცრება და მტვერი-ეი მილის საშვილე-  
ბით მაღლა ჰაერში იღის. ამ მტვრის  
მჩერის მკრელი.

**საბერთუ** მანქანას მგელ-მანქანა ჰქვი-  
ან, რადგანაც შიგნით ჩამული კბი-  
ლები მგლის კბილებს ემზადება.  
მეტყე იურ-ნარევი ცხელი წყლის  
აპანოვი რამოდენიმეჯერ გვაძა-  
ნავს, ბოლოს სუფთა წყალში გა-  
ვვავლეს.

— ეს, სხანს ცხოვრების გავლა  
მინდოოზი გველას არა ჰვავს!—  
შენიშნა ბზრიალომ,




მგელ-მანქანა



— თუ შემაწყვეტინებთ, ლაპარაკს თავს დაგჭრებორთავ გაჯიგრდა წიგნის ფურცელი.

— არა, განაგრძე, განავრძე! — შესძიხა ყველამ. მარიკომ კი ისეთი რისხვით დაუყვირა ბზრიალის, რომ იმან, შეშინებულმა, ბოდიში მოიხადა, ხმა ჩივემინდა და პირობა დადგა, მეტს ასაზ გაგაწყვეტინებ ამბავსო.

— ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ჩვენი ტანჯვა-წვეოლებისა.. ჩქარა ისევ ჩავყარეს ქედელ წყალში, ისევ დატრიალდა საშინელი კბილებიანი ბორბალი. დატრიალდა ისე სწრაფად, და ისე მოხერხებულად დაგვიწყო ჩეჩე, რომ სულის მობრუნებაც-კი ვერ მოვასწარით, და ყველა ცალ-ცალკე ძალებად და მერჩე ბუსუსებად დავიწერეთ. რაც მეტს ტრიალებდა მანქანა, უფრო და უფრო ვეჩერდა და გვწერდა. — ბოლოს ბუსუსების გარჩევაც შეუძლებელი-ლა გახდა და მჩვრები მოსქო ფაფად ვადა-ვიქეცით. ის მანქანა, რომელმაც ჩვენ ფაფად გადაგვაქცია, არის მჩერის მხარშავი ქვაბი. ფაფას შემდეგ წყალი მოუმატეს და



მჩერის მხარშავი ქვაბი

სიმძიმისათვის უმატებენ ცოტა ცარცს, თაბაშირს და თეთრ-


რძეს დაემზადეს. ამ ფაფის მხევს ნიკოლერებას, თუ თეთრი ქაღალდის გაკეთება უნდათ, ურევენ ერთგვარ მწვავ ნიკოლერებას, რომელსაც ქლორი ჰქვიან, და თეთრებენ. თუ ლამაზი, ფერადი ქაღალდის გამოყანა სურთ, იმნირის, როგორიც დეილამ აჩუქა მარიკოს საშობოლდ, მაშინ ფაფას ვარდის ფერს, ან შევანე სალებაეს ურევენ. შემდეგ



თოხას. ესენი რომ არ ერიოს ქაღალდს, მელანი გადაწყვეტილი იყო  
და გაედენთ აფედა, როგორც საშრობ ქაღალდს.

როცა ფაფის მაგვარი ნივთიერება მოამზადეს, გაღაასხეს  
მეორე ქვებში და იქიდან ლულით მიუშვეს სწორ ფიცარზე,  
რომელსაც ირგვლივ დვედი ჰქონდა შემოკერილი, რომ გა-  
დაღმა არ გადასმულყოყო ნივთიერება. ნივთიერება ფიცარზე  
თხელ ფენად იშლებოდა და პარზე მავრდებოდა.

გასაშრობად და გასასწორებლად გაშლილ ნივთიერებას  
მძიმე, სწორე, გახურებულ სპილენძის ქახრის ში იტარებდნენ,  
რომელიც უთოხავით აუთოებდა. იქიდან გამოდიოდა ვრდე-  
ლი, თეთრი ქაღალდი, რომელსაც ბოლო არ უჩინდა.



ქაღალდის მაკეთებელი მანქანა

ახლა ნივთიერება ნამდვილ ქაღალდად გადიქცა. საქი-  
რო იყო მთლილ დაჭრა და დატკეპნვა. ქაღალდი სქელი,  
უსწორ-მასწორო, ან წმინდა, გამჭვირვალე იყო. სქელი ქა-  
ღალდის დასატკეპნად კარტონის ფურტულებს უკერქნ: თუ  
წმინდა და გამჭვირვალე უნდათ—ლითონის ფურტულებს.

ଅଲ୍ପେତ କାଳାଲଦିଳ ଫୁର୍ପୁରୀ ରୂପ ଗାସ୍ତ୍ର୍ଵରୀରୁହି ମିଶ୍ରକର୍ମଚାରୀ  
ମି; ଏହି ଅଭିନାଶ ଗମ୍ଭୀରପାଇଁ ଶବ୍ଦେ ଗାମ୍ଭୀରାନିଲି, ରାମ୍ଭେଲ-  
ଶବ୍ଦ ଶ୍ଵରିଲି ନିର୍ବିନ୍ଦି ଗ୍ରହିଣୀରୁହି.

ଯେ ନିର୍ବିନ୍ଦି, ରାମ ଏହି ଅଭିନାଶ ଉପରୀ ମନ୍ତ୍ରକରୀତ ରୂପ-  
ରୂପରୀ କାଥରାଜୀ, ରାମ କାଳାଲଦିଳ ଉପରୀ ଗାନ୍ଧେରୀପୁରୀରୁହି.

କାଳାଲଦିଳ ଏହିଳ ସବ୍ରା-ଦା-ଶ୍ଵର ବାରିଲିଲିଲା. ବାମ୍ବିକ୍ରିନିରି କା-  
ଲାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି. କାଳାଲଦିଳ ସବ୍ରା-ଦା-ଶ୍ଵର ନିର୍ବିଗ୍ରହିବିଲାଗାନ କ୍ରୀ-  
ତରୁହି,—ଦାଲାବିଲିଲାଗାନ, କିମ୍ବ କ୍ରୀତିଲିଲାଗାନ, କାଲିଲାଗାନ, ମୁରିଦୁଷ୍ଟି-  
ଲାଗାନ, କ୍ରୀତିଲିଲାଗାନ, ନାଥରିତିଲିଲାଗାନ ରୂପ ଶ୍ଵରା.

ନାଲିଲାଗାନ ରୂପ କିମ୍ବ ନାଥରିତିଲାଗାନ କ୍ରୀତରୀପୁରୀରୁହି କାଳାଲଦିଳ  
ଏହିରୀତିରୁହି ଏହି ରାମରୁହି: ଏହି ଏହିଲ ମନ୍ତ୍ରକରୀତ ରୂପ ରୂପରୀ  
ନା କାଳାଲଦିଳ ଉପରୀ ଗାନ୍ଧେରୀପାଇଁ ବାରିଲିଲାଗାନ.

ଏ, ଯେ ଏହିଲ ମନ୍ତ୍ରକରୀତ କ୍ରୀତି ଏହିରୁହି.

ପ୍ରେଲାନି ଏହିରୀପ୍ରେମୁଳନି ପ୍ରୟେନି.

— ନିର୍ବି ମନ୍ତ୍ରେପୁଣ ମେଲାନି କ୍ରୀତି ରାମ ଗାନ୍ଧେରୀ, ଶ୍ଵରାର୍ଜ-  
ନା ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ, —କ୍ରୀତରା ମାରିଗୁମି, —ଗ୍ରୀବିଦ୍ଧ, ରାମଙ୍କି  
ଦାନିଷ୍ଟ୍ୟେ କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି.

— ଭାଇ କାମିନ୍ଦ୍ରିଯିକାରୀ ଏହିରୀପ୍ରେମୁଳଦିଲ କ୍ରୀତ ତଥାନିଲା, —  
ମନ୍ତ୍ରକରୀତ ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ, —କ୍ରୀତରା ମାରିଗୁମି, —ଗ୍ରୀବିଦ୍ଧ, ରାମଙ୍କି  
ଦାନିଷ୍ଟ୍ୟେ କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି.

— ଭାଇ କାମିନ୍ଦ୍ରିଯିକାରୀ, —ତଥା ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ  
ନିର୍ବିଲିଲ ପ୍ରେମୁଳଦିଲ ଗର୍ବରୁହି.

— କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି ଭାଇ କାମିନ୍ଦ୍ରିଯିକାରୀ, କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି  
କାମିନ୍ଦ୍ରିଯିକାରୀ ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ: କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାଳାଲଦିଳ ପୁରୀ  
ପ୍ରେମୀ, ରାମରୀତି ତଥାନିଲା ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ କ୍ରୀତରୀପ୍ରେମୁଳନି,  
ଏହିମେଲ ଲାଭାନିଲାଗାନ.

ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ  
ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ ନିର୍ବିଲିଲ ଫୁର୍ପୁରୀରୀ. କ୍ରୀତରୁହି କାଳାଲଦିଳ କ୍ରୀତରୁହି  
କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାମିନ୍ଦ୍ରିଯି କାମିନ୍ଦ୍ରିଯି



ଶାକ୍ୟତେବେଳୀ ଜାରିଦର୍ଶକ ମାର୍ଗ୍ୟରେ ଅଭିନ୍ୟାଶ ଲାଭ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା । ଶାକ୍ୟତେବେଳୀ ଉପରେ ଅଭିନ୍ୟାଶ ଲାଭ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା । କିମ୍ବା ଅଭିନ୍ୟାଶ ଲାଭ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା ।

6.





# ჯელარშიგითი ანატომიიდან

## აღწევლი ფაქტები

(ვაგრძელება).



ოგორც. ვთქვით, გარეგანი შესიხედაობით, საცურავი ფრთა ერთ მთელს წირმოადგენს. ეს გარდაქმნის წყალობით მოხდა: ცხოველი ცურქის დროს წინა ფეხებს ნაერს ნიჩბებსაცით ხმარობდა, იმიტომ ისინი სახსრებში მოძრაობას მოკლებული იყვნენ: ამის გამო სხვა-და-სხვა ნაწილები საცურავი ფრთისა ერთმანეთს შეეზარდნენ. ესევე მოუკიდა თოვებსაც.

ალბალ ბევრს თქვენგანს დაებადება კითხვა, სადღაა უკანა ფეხები: ნუ თუ იმათი კვალიც-კი აღარ შერჩი ვეშაპსო?

ვეშაპების უმრავლესობას მართლა კვალიც-კი არ შერჩნია წინაპართა უკანა ფეხებისა. მაგრამ არის ერთი ჯიში ამ ცხოველის, გრენლანდიის ვეშაპი, რომელსაც უკანა ფეხების ნაშთი ჯერ კიდევ მოეპოვება. ამ ვეშაპების სხეულის უკანა ნაწილში, ხორცში, თქვენ შეხვდებით პატარა ძელებს, რომელნიც სრულიად დამალულნი და სხეულის სხვა ძელებრივან განცალკევებულნი არიან; ამ ძვალში ადგილიად გახსა-

ჩეცია ბარძაყი და სხვა ორი ძვალი ძუძოსან ცხოველი მარტივი ფეხისა.

არის ერთი ცხოველი, სელაპი, (ზღვის ძალლი) რომელსაც უქები საცურავ ფრთებად გადაჭვევია. ამ ცხოველის წინა საცურავი ფრთების ზინაგანი იგებულება ძლიერა ჰვის ხელს. გარეგნულადაც ჩეც ის მოვაგონებს ტყავით შეერთებულ თითებს, ბატის თითების მზგავსად; ამ ცხოველს თითებზე ბრკვალები ასხა. ეს ცხოველი ზღვაში ცხოვრობს, მაგრავ ხშირად ხშელეთხევაც გაერთიანდება სიარულიც შეუძლია, რომლის დროს იმას შეელის წინა საცურავი ფრთები; ეს ფრთები კეშაპის ფრთებსაერთ მოძრაობას მოკლებდან არ არიან.



სელაპი.


ამ ზღვის ძალლს კუდთან უნეითარდება საცურავი ფრთის მხევისი იარალი; გვერდებზედაც იქვე საცურავი იარალები. გვერდების საცურავი ფრთის ძვლები რომ კარგად ვაკენჯოთ, დავინახეთ, რომ ეს უკანა ფქების ნაშთებია, და თუ მხედველობაში მივიღოთ, რომ ზოგი ჯიში ამ ცხოველებია, მაგალითად ზღვის სპილო, იზათ მემწერებით კიდევაც დადის, მაშინ დაბჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს საცურავი ფრთები გარდაქმნილი უკანა ფქებია.

ახლა ვიკიოხოთ — რა უფრო იქნება კუუსთან ახლო: ის, რომ ვსოდვათ, ვეშაპი და ზღვის ძალლი თივიდან იყვნენ გაჩენილნი წყლის ცხოველებად, როგორც წინად მატკიცებდნენ, — თუ ისა, რომ ისინი წარმოსდგებიან ხშელეთის ცხოველებისაგან, რომელნიც თან-და-თან შეეგუენ წყალში ცხოვრებას და ახალი ცხოვრების მშედებით გამოეცვალათ სხეულის იგებულება? ჩემი აზრით, ეჭვი არაა, მეორე პისაზრება უფრო კუუსთან ახლო.

თუ ეს არის სურათი ერთი წყლის ფრინველისა; ამ ფრინ-



ველს პინგ-ინი ჰეროან; მისი სხეული წყალში ცურების მიზანებული. იმ აღვილის, სადაც ბეჭდების ფრინველებს ფრთები აბრა, ამ ფრინველს მოკლე, ბრტყელი, ნიჩნების მხედვის იარაღი აქვს. ეს იარაღი სიპატაზების გამო ფრენისა-



### პ-ნკენები.

თეს ყოვლად გამოუსიდებარია. მის შეწეობით ეს ფრინველი მშენივრად მოძრაობს წყლებს სიღრმეში; ფეხის თითები ამ ფრინველს აქით აქვს უერთებული, როგორც სხვა მცურავ ფრინველთ: ბატს, ცხეს და სხვას. პინგვინის საცურავი ფრთის შინაგანი გეგმულება რომ ვაგრძიჯოთ, ჩვენ დავინახათ, რომ მას საცურავ ფრთაში ძვლები იმდენივე აქვს, რა მდენიც ფრინველებს ფრთაში აქვთ, და ეს ძვლები დალაგებულია სწორედ ისე, როგორც ფრინველის ფრთაში.

ფრთაში ჩვენა ვხედით წახარის ძვალს, იდაყვის ორ ძვალს: შემდეგ ორ პატარა ძვალს, სამს ერთმანეთზე შეზღუდილ, თითების ზემოდ მდებარე ძვალს და სამ თითს.

პინგვინის საცურავ ფრთაში ჩვენ ვპოულობთ სწორედ



იმას, რაც გრე დამახისიათებელია ფრინველთა ფრთისაზე უწყლის სახელდობრ, კუელა ფრინველებს თათების ზემოდ მდებარე ძლები შეზრდილები იქნა: ვარდა ამისა ფრინველებს სამი თითი აქვთ, სხვა ხერხებისან ცხოველებს-კი, ვარდა თევზებისა, ხუთხუთი თითი ამია.



(ხელი) ვარეული ფრინველისა და პინგვინის (პერი) ფრთის ძვლები.

შევადაროთ ერთმანეთს პინგვინისა და სხვა რომელიმე ფრინველის ფრთების ძვლები: ადვილი შესამჩნევია, რომ პინგვინის ძვლები უფრო ფართო და ბრტყელია. ეს ძალიან სასარგებლოვანი პინგვინისთვის, რადგან ძვლების ასეთი ფორმა ხატურავ ფრთას ნიჩაბს ავზავსებს, რაც ფრინველს ცურვას უადგილებს.

ავგვარი ავებულება პინგვინის ფრთისა იმით შეიძლება ავსნათ, რომ ის შეცვლილი ფრთაა ჩვეულებრივი ფრინველის, ანუ სხვანაირად რომა კუთხვათ, პინგვინი წარმოსიდგება იმისთვის ფრინველისაგან, რომელსაც ფრენი შეეძლო. პინგვინის წინაპარი რომე მიზრზის გამო თან-და-თან შეეწია წყალში ცხოვრებას, შეეგუა მის, მისმა ფრთამ დაპკარდა ფრენის უნარი, სამაგიეროდ ცურვაში გამოიწვიოთნა.

თუ ამგვარ შეხედულებას მიიღებთ პინგვინის წარმოზობის შესახებ, პაშინ აფილი ასახსნელი იქნება, რათ აქეს მის ფრთას ასეთი როტული ზინაგანი ავებულება მაშინ, როცესაც ეს სრულებით საკირო არა ფრინველისაოვის. წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენოფის ეს ფაქტი გაუგებარი დარჩება.




ვეზაპისა და პინგვინის საცურავი ფრთები ერთს ჰყებულება  
30 დანიშნულებას ემსახურებიან, მაგრამ შინაგანი ავებულება  
იმათო სხვა-და-სხვაა.

არიან სხვა ცხოველებიც, რომელთაც წინა ფეხები სა-  
ცურავ ფრთებად აქვთ გადაჭილეული, მაგალითად—არის კუს  
ერთი ჯიში, რომელსაც ეწოდება ზღვის კუ. ეს ცხოველი შე-  
დამ წყალში ცხოვრობს და იმისი ფეხებიც\* შესაფეროდაა შე-  
ცვლილი: ბრტყელი და განუყოფელია; ცხოველი იმით ცურვის  
დროს ნიჩბებსაცით ხმარობს.  
ამნაირად ვეზაპის და ზღვის  
ძალლის საცურავი ფრთები  
არის რძით-მკვებავი ცხოვე-  
ლისწინა ფეხები; საცურავი  
ფრთა პინგვინისა—ფრინვე-  
ლის ფრთაა; ზღვის კუს სა-  
ცურავი ფრთები-კი—ქვეწა--  
რმავალთა ფეხებია.

### ვ უ.

არის მეცნიერება, რომელსაც ანატომია ჰქვიან. ან-  
ტომის საგანს შეადგენს ორგანიზმთა ავებულების შესწავე-  
ლი. ამ მეცნიერებას იქვს უალკე განყოფილება—შედა-  
რებითი ანატომია. შედარებითი ანატომია აღარებს ერთ-  
მანეთს. ხოლმე სხეულების ავებულებას სხვა-და-სხვა ჯიშის  
ცხოველებს და ამგვარ შედარებილან უსათერი დასკვნა  
გამოჰყავს. ეს ნაწილი ანატომიისა, აღარებს რა ერთმანეთს  
სხვა-და-სხვა ცხოველთა სხეულის ნაწილებს, იმ დასკვნა-  
მდე მიდის, რომ ბევრი მათი ორგანო ერთმანეთს წა-  
აგავს. შედარებითი ანატომია საეთ ნაწილებს სხეუ-  
ლისას ჰომოლოგიურს უწოდებს, ესე იგი,—ჰომოლოგიური  
ორგანოები ჰქვიან ისეთ ორგანოებს სხეულისას, რომელნიც  
თავისი იგებულებით ან ერთნიშნი არიან, ან ერთმანეთსა  
ჰგვანან. ორგანიზმებს იქვს ორგანოები, რომელნიც ერთს



და იმავე დანიშნულებას ემსახურებიან. ისეთ ორგანოებს ჟენდერულისას, რომელნიც ერთსა და იმავე როლს ასრულებენ ორგანიზმის ცხოვრებაში, პკეიან ჰომოლოგიური ნაწილები სხეულთა.

ხშირად სხეულთა ჰომოლოგიური ნაწილები ანალოგიურია, ესე იგი—ერთნაირი აგებულების შემნებ ნაწილები სხეულისა ერთსა და იმავე დანიშნულებას ემსახურება და პირიქით. მაგალითად—დათვის უკანა ფეხები და კაცის ფეხები ერთნაირადაა აგებული და იმავე დროს ერთი დანიშნულება აქვთ: იმათი შემწეობით ისინი (დათვი და ადამიანი) დაღიან. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ერთნაირად აგებული ორგანოები სხეულებისა სხვა-და-სხვა როლს ასრულებენ; მაგალითად ვეშაპის საცურავ ფრთებს, დათვის წინა ფეხებს, ლამურის ფრთებს და ადამიანის ხელებს ერთნაირი აგებულება აქვს, ესე იგი ჰომოლოგიურია, მაგრამ სხვა-და-სხვა დანიშნულებას ემსახურება: ადამიანი ხელის შემწეობით იქცერს სხვა-და-სხვა საგნებს, საწერსა და სხვა; დათვი წინა ფეხების საშუალებით დადის, ლამური—ფრთინავს, ვეშაპი—ცურავს, და ის სწორედ ამ სხვა-და-სხვა გვარი მოქმედების ბრალია, რომ დასხელებული ორგანოები განიჩევებან ერთმანეთისაგან: ზოგი იმათვანი დაგრძელებულია, ზოგი-კი ძალზე მოქლე და ბრტყელი, მაგალითად—ვეშაპის და სელაპის საცურავი ფრთები, და სხვა.

გ. ანთელიძე.

(შედეგი იქნება).






# କୁଳାରିତଙ୍କବୀ

୩୧୯୧୯ ବାର୍ଷିକୀ

ମେଲିକ (ପ୍ରାଚୀନମହାଦେଶୀର୍ବାଦୀ ପ୍ରକାଶନୀରେ ପ୍ରକାଶିତ)।

ମେଲିକ (ପ୍ରାଚୀନମହାଦେଶୀର୍ବାଦୀ ପ୍ରକାଶନୀରେ ପ୍ରକାଶିତ)।

ପ୍ରକାଶିତ ଏହାର ବିଷୟ  
ଅଲ୍ଲେଭୁଲ୍ଲାଙ୍କ ତାରିଖିତାଙ୍କ;  
କଥି ମୋହମାର୍କାନ୍ତ ଗ୍ରାହିକା  
ପ୍ରପଥ୍ୟେଣ ଜାପିତାଙ୍କ:  
ଶବ୍ଦିଲ୍ଲାଙ୍କ କିଲାଙ୍କ ନୃତ୍ୟର୍କାଳ  
କାରତ୍ୱେଲ୍ଲା ଫ୍ରେଡିତାଙ୍କ,  
ମେବନିକ୍ରମେବେଳେ ଗନ୍ଧତମ୍ରିଲ୍ଲାଙ୍କ,  
ଶର୍ମିତିଲ୍ଲାଙ୍କ ଲିଙ୍ଗପ୍ରକାଶିତାଙ୍କ,—  
କାହିଁନ ଉତ୍ସାହରେ ସାଥେଲ୍ଲା  
ଉତ୍ସାହିତି କାରତ୍ୱେଲ୍ଲାଙ୍କିତାଙ୍କ,  
ଶାତ୍ରାଯୁଦ୍ଧକ୍ରମେବେଳେ କାରତ୍ୱେଲ୍ଲାଙ୍କ,  
ଫଂଚୁପ୍ରକାଶିତ ରୂପତ୍ୱେଲ୍ଲାଙ୍କିତାଙ୍କ।



୧୦-୬ ନଂ ମାତ୍ର ଅନ୍ତାକ୍ଷେତ୍ରରେ ୬୦୨୭.୦୯ ୧୯୬୯:

ଏହି ପ୍ରକାଶିତ ମେଲିକଙ୍କ ନେତ୍ରରେ ଦାଢିବିନ୍ଦୁକୁ ଦାଢିବିନ୍ଦୁକୁ,  
ମେଲିକଙ୍କ ମେଲିକଙ୍କ ନେତ୍ରରେ ଦାଢିବିନ୍ଦୁକୁ ଦାଢିବିନ୍ଦୁକୁ।

ମେଲିକଙ୍କ ନିବିଧି ବାଜାରରେ ପ୍ରକାଶିତ ପ୍ରକାଶନୀ ପ୍ରକାଶନୀ ପ୍ରକାଶନୀ

# „ნაკადული“-ს რედაქციაში

დ ०

წერა-კითხების სისოებდოების წიგნის მაღაზიაში იუიდება  
შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თხ. მარკ ტვენისა, თარგმ.  
გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თხ. ევენიარიუსისა, თარგმ.  
გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.
- 3) დასურათებული ასაწყობი ანბანი, — ფასი. . . . . 1 გ. 20 კ.
- 4) სკრუჟი და მარლენი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ  
ლიკენისისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწყილო მოთხრობები პ. ქ. ან-  
დერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა  
და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ ტოლსტო-  
ისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმა-  
წყილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ქოვრებიდან, — ნინო ნა-  
კაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი,  
ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ.  
მაკავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ედოშვილისა, დიდების მაძიებელი,  
თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერ-  
ლებისა . . . . . 5 კ.
- 13) იგავ-არაენი, — 125 დასურათებული, პატარა მო-  
თხრობა, ავტორის სტუართ, ალ. მირიანშვილი-  
სა, ფასი. . . . . 75 კ.

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საექსპოლო ქურნაფრთხოები

# „ნაცაზულ“-ჟე

◆ ზ ღ ი ზ ა დ ი ვ ი ს ხ ე ბ ◆

გურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ ჩეულ სარედაქტო კომისიის ხელმძღვანელამით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეყენათ:

**24 წიგნი „ნაცადულისა“** მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი „ნაცადულისა“** მოზრდილთათვის.

1913 წლს წლიური ხელის მომწერნი თრივე გამოცემისა ხა-  
ნუქად მიიღებენ. ამერიკელ მწერალ ქალის შარიეტ ბიჩე  
სტოუს რომანი ზანგთა განთავისუფლების დროიდან, „ბი-  
ძია თომას ქოხი“-ს სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე  
მეტი სურათი და ჩართული იქნება აფთოჩის სურათი და  
ბიოგრაფია.

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იყ-  
სრა ილია ნაცადიძემ.

ფასი გურნალისა: წლიურად თრივე გამოცემა — 5 გ. ნა-  
ხევარ წლით — 3 მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის

**24 წიგნი — 3 მან., მოზრდილთათვის 12 წიგნი — 3 მან.**  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაცილ-ნაწილადაც.

## ხელის მოზრდა ვებსაიტი

ტფილისში — „ნაცადულის“ რედაქცია გბაზარში მოიხსენის სახ. გრაფიკის. პრ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр., № 8, და წერა-ეითხვის საზოგადოების წიგნის მადაზაში, სასა ხლის ქანა. ქუთაისში — ისიდორე კვიცარიძესთან, მ. გაუხნიშვი-  
ლთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიაში — ივანე ბლადეკო-  
თან და ვლ. ნაცადულ ქასთან. ფოთში — თეოტიანე ქანდელაკთან. ბათომში — ქ. სოფია ნაცადიძესთან, ტრაფიშ იხასარიძესთან დ  
ასესტასია ლომინაძესთან. ოშურგეთში და ლანჩხუთში — დევ ი.  
ნაძესთან. თელავში — ვახო პატარაშვილთან. ახალ-ციხეში — კონ-  
სტანტინე გვარაშვილთან. ბაქოში — ვასიდ ახვლევიანთან, ნინო  
გელაშვილთან და ივანე ელაშვილთან. გორში — ნინო დომაურითან  
და ქეთევან ჭავჭავაშვილთან. სოხუმში — ქ. მარაშ აჩაბაძესთან.  
ჭიათურაში — ივანე გომელაშვილთან. განჯაში — ბ. აშხანაძესთან.  
ერევანში — ქ. თდაშარიასთან. სიღნაღმი — ნ. ახმეტევაშვილთან.  
ყარსში — ი. საათა შევალთან. ალექსანდროპოლში — ს. შატე-  
რაშვილთან. როსტოვში — მ. კლიმაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაცადიძე.